# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11-12(313-314) 2024 წ. 1-30 ივნისი ფასი 2 ლარი


## „გოგლაობა-2024“

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და კულტურის ობიექტების გაერთიანების ორგანიზებით, სოფელ პატარძეულში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში პოეტის 125 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული - **“გოგლაობა-2024”** გაიმართა.

მოწვეულ სტუმრებს “ნატვრის ხის” გმირებმა ბროწეულების ჩრდილქვეშ უმასპინძლეს, სადაც დიდი პოეტის არაერთი ლექსი და პროზაული ციტატა გაჟღერდა.




ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი ბილაშვილი,** საქართველოს პარლამენტის საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **გია თათრიშვილი,** მწერალთა კავშირის წევრები, პოეტის შთამომავლები და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა საზოგადოებას სიტყვით მიმართა, ღონისძიების ორგანიზატორებს და მწერალთა კავშირის წევრებს გოგლას სახელის და შემოქმედების უკვდავყოფისთვის **მადლობა გადაუხადა:**



***“წელს, გოგლას დაბადებიდან 125 წელი შესრულდა. 1967 წლიდანკი სახალხო დღესასწაულს უკვე ტრადიციული სახე აქვს და ყოველწლიურად პოეტის მშობლიურ სოფელში, პატარძეულის სახლ - მუზეუმში აღინიშნება.***

***არ მეგულება საგარეჯოელი, რომელსაც არ ეამაყოს გოგლა ლეონიძის მშობლიური მხარით, მისი შემოქმედებითი მუზა - პატარძეულით.***

***მე ბედნიერი ვარ, რომ მის ნატერფალებზე ამაყად დავაბიჯებ და ეს გრძნობა გამყვება მთელი ცხოვრება.***

***“ნატვრის ხე” და თითოეული ლექსი, ფრაზა - დარჩება, როგორც შეუფასებელი განძი ჩვენი კუთხისა.***

***მშობელ მიწაში გადგმული ფესვები - კი მომავალი თაობების ზედნაშენ განათლებას და წარმატებას, კიდევ უფრო გაუძლიერებს და გაუმყარებს საძირკველს”,*** - აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა**

## ეს ბავშვების გასახარად იყო

### 1 ივნისს, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა გასართობი ღონისძიებები

**ბიფერი**-ფოტო სივრცე თემატური წარწერით, საბავშვო სივრცე: 2 საათიანი გასართობი პროგრამა: ანიმაციური ზღაპრის გმირების შოუ, ფერების შოუ, საპნის ბუშტების შოუ, ენერგიული თამაშები, შეჯიბრებები, ანიმატორების X-box ცეკვები, მხიარული სტარტები, ხელნაკეთი ნივთების დამზადება, ფერადი მავთულების თემატური ვორქშოფი, ცხოველების ტოტემის ვორქშოფი, თაბაშირის გაფერდება,





სოლო გზა, გოლფის ჩელენჯი, ბაზერი, X და 0, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა საგამოფენო სივრცე; თეატრალური ფესტივალის მონაწილეთა საზეიმო დაჯილდოება, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტ კლუბის წევრების დაჯილდოება, „წითელი ჯვრის“ სივრცე.



კონცერტში მონაწილეობას იღებდა ანსამბლები “მი-რე-ლა”და “კამერტონი”

## მუნიციპალური ტრანსპორტი ამოქმედდა

**საგარეჯოში**, ახალი თანამედროვე სტანდარტების მუნიციპალური ტრანსპორტი ეტაპობრივად ამოქმედდება.

**საგარეჯო-შიბლიანის** მარშრუტზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარესთან, **ალექსი ბილაშვილთან** ერთად იმგზავრა, თანაქალაქელებს მნიშვნელოვანი სიახლე მიულოცა და მარშრუტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.




1, 2, 3, 4, ავტობუსები მგზავრთა გადაყვანას სატესტო რეჟიმის განმავლობაში უფასოდ განახორციელებენ.

ტარიფისა და განრიგის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, სატესტო რეჟიმის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდისა და მოსაცდელებზე განთავსებული განცხადების საშუალებით ეცნობება მოსახლეობას.

სატესტო რეჟიმის სავარაუდო განრიგი:

ყოველდღიური

**1 ქ. საგარეჯო :**

ქ. საგარეჯოს ცენტრალური მოედანი - ქვემო სამგორის დასახლება - ღვთისმშობლის ტაძარი (წრიული მარშრუტი) 8:00 საათიდან, 20:00 საათამდე.

**2 შიბლიანი -ქალაქი საგარეჯო:**

გამოსვლის პუნქტი: სოფელი შიბლიანის ცენტრი 8:00 საათზე. გასვლა - ქ. საგარეჯოს ცენტრალური მოედანი - 16:00 სთზე.

**გაჩერებები**:

სოფლები: მზისგული, ბადიაური, ყანდაურა, ვერხვიანი, კაკაბეთი, დიდი და პატარა ჩაილური, მანავი, თოხლიაური, საგარეჯო.

**3 სოფ. პატარძეული – სოფ. ხაშმი – ქ. საგარეჯო დღეში 2-ჯერ**

გასვლა - სოფელი პატარძეულის ცენტრი 9:00 საათზე

დაბრუნება - ქ. საგარეჯოს ცენტრალური მოედანი 15:00 საათი.

**4 სოფელი უჯარმა, სოფელი კოჩბაანი, სოფელი გომბორი კვირაში 1 დღე - სამშაბათი**

გასვლა - სოფელი გომბორი, ადმინისტრაციული შენობის ტერიტორია 9:00 საათზე





დაბრუნება - ქ. საგარეჯოს ცენტრალური მოედანი 16:00 საათზე.

**5 საგარეჯო - იორმუღანლო**

გასვლა: 8:00 საათი

გამოსვლა: 17 : 00 სთზე.

ბოლო გაჩერება: ლამბალოს საჯარო სკოლა.

(ამჟამად სატესტო რეჟიმში გაშვებულია 2 მარშრუტი: საგარეჯო წრიული და საგარეჯო-შიბლიანი. დანარჩენი მარშრუტები ეტაპობრივად ამოქმედდება).

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია გისურვებთ მშვიდობიან მგზავრობას!***

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №13

**2024 წლის 16 მაისი**

*ქ. საგარეჯო*

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ( 3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

**დამტკიცდეს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ( 3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

**ამ** დადგენილების დანართით დამტკიცებული მარშრუტების შესაბამისად, ავტობუსებით ( 3 კატეგორია) რეგულარულ სამგაზვრო გადაყვანას ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „საგარეჯო“ ს/ნ 438112276.

**მუხლი 3**

**დადგენილება** ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

*ალექსი გილაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპაალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე***

---

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14

**2024 წლის 16 მაისი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ( 3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტისა და „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის 667 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ( 3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე

მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 1 ლარით.

**მუხლი 2**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებადგანსაზღვრული ავტობუსებით ( 3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე შეღავათიანი ტარიფით, 0.5 ლარით, მგზავრობის უფლება მიეცეთ შემდეგ პირთა კატეგორიებს:

ა) „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პენსიონერებს.

ბ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს – დევნილებს.

გ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს.

დ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

ე) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს.

ვ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან მშობელს.მ

ზ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს.

თ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს.

ი) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პედაგოგებს.

კ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მარჩენალდაკარგულ პირებს.

**მუხლი 3**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ( 3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭოთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სკოლების მოსწავლეებსა და შშმ პირის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვის და აუტიზმის სპექტრის მქონე ერთ-ერთ მშობელს.

**მუხლი 4**

1. **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ( 3 კატეგორია) რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „საგარეჯო“ ს/ნ 438112276.

2. ამ დადგენილებით განსაზღვრული მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემას ნერგავს და ამ დადგენილებით განსაზღვრული მგზავრობის საფასურის მოკრებას ახორციელებს საამისოდ შერჩეული შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტი გადახდის სისტემის მოწყობის ფარგლებში, ასევე, უზრუნველყოფს ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული მგზავრებისთვის, სამგზავრო პლასტიკური ბარათების დამზადებასა და გაცემას.

3. შპს „საგარეჯოს“ ს/ნ 438112276 მიენიჭოს უფლებამოსილება ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებელ სუბიექტთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

**მუხლი 5**

1. **ამ** დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პირთა კატეგორიისათვის განკუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირთა მიერ მგზავრობისათვის გამოყენება ან ამ ბარათის სხვა პირზე ნებისმიერი ფორმით გადაცემა, რასაც მოჰყვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ბარათით სამგზავრო ბილეთის აღება, ექვემდებარება სამართალდამრღვევი პირის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმებას შპს „საგარეჯო“-ს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ,რომელიც დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირის/პირების სამგზავრო პლასტიკური ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვის შესახებ. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შპს „საგარეჯო“ უზრუნველყოფს ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ბარათის დაბლოკვის მიზნით.

2. ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვა ხორციელდება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვას 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბარათი ექვემდებარება უფასო განბლოკვას.

3. ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტი (ბარათის გამცემი) შპს „საგარეჯოს“ მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებისთანავე (მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) უზრუნველყოფს ბარათის დაბლოკვას.

4. ამ დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლით განსაზღვრული შეღავათიანი მგზავრობის ტარიფითნ მოსარგებლე პირებზე სამგზავრო პლასტიკური ბარათის გაცემა/აღდგენა ხორციელდება მათ მიერ ამ დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილ სუბიექტთან მიმართვის საფუძველზე.

**მუხლი 6**

**ამ** დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით სარგებლობის მიზნით გასაცემი სამგზავრო პერსონიფიცირებული პლასტიკური ბარათის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი სტატუსისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მუხლი 7**

**ამ** დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული ტარიფები ჩაირიცხოს შპს „საგარეჯოს“ ანგარიშზე. მიღებული შემოსავალი მოხმარდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ( 3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის უზრუნველყოფას.

**მუხლი 8**

შპს „საგარეჯომ“ ყოველი თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიას წარუდგინოს ინფორმაცია ფაქტობრივად გადაყვანილ (მათ შორის, შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე) მგზავრთა რაოდენობისა და შპს-ს ანგარიშზე მგაზვრობის საფასურიდან შემოსული თანხების შესახებ.

**მუხლი 9**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ალექსი გილაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე***

# <u>მართლმადიდებლობა</u>

## 20 ივნისს –წმინდა დავით გარეჯელის ხსენების დღეა!

## ღირსი მამა დავით გარეჯელი (VI)

**ამაღლების შემდგომი ხუთშაბათი**

**ღირსი** და საკვირველმოქმედი მამა დავით გარეჯელი შუამდინარეთის ასურეთიდან იყო. მისი დაბადების ზუსტი თარიღი და მშობელთა ვინაობა უცნობია. იგი, ჯერ კიდევ ყრმა, სულიერი შვილი გახდა თანამემამულის, წმიდა მამა იოანე ზედაზნელისა. განერიდა რა კაცთა დიდებას საკვირველმოქმედი ღირსი მამა იოანე, თავის მოწაფეებიანად მცხეთას წამოვიდა და პატიოსანი სვეტის თაყვანისცემის შემდეგ დედაქალაქის ჩრდილოეთით მდებარე მთაზე შეჩერდა. აქედან მასწავლებლის კურთხევით მოწაფეთაგან ზოგმა კახეთის საზღვრებს მიაშურა, ზოგმა კი დვალეთს.

მამა დავითმა თავიდან სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია. ბერ ლუკიანესთან, თავის მოწაფესთან და სულიერ შვილთან, ერთად ქალაქის დასავლეთით მდგარი მთის ფერდობზე, გამოქვებულში დასახლდა და იქვე პატარა სამლოცველო მოაწყო. ბერები მხოლოდ მთის მცენარეებით იკვებებოდნენ და ლოცვაში ატარებდნენ დღეებს.

წმინდა მამათა საცხოვრისი ანდამატივით იზიდავდა თბილისისა და მისი შემოგარენის მკვიდრთ. ბერებთან უამრავი ხალხი მიდიოდა აღსარებისთვის. მამა დავითი უსმენდა მათ, სინანულისა და შენდობისაკენ მოუწოდებდა, ხუთშაბათობით კი ქალაქში ჩადიოდა, ქადაგებით ამხნევებდა ხალხს და რწმენას განუმტკიცებდა.

მამა დავითის ლოცვით მისი გამოქვებულის ახლოს სასწაულმოქმედმა წყალმა ამოხეთქა. ამ წყაროს წყალობით მრავალი მართლმორწმუნე განიკურნა უშვილობისაგან.

იმდროინდელი თბილისი ცეცხლმსახურებს ეპყრათ. დაუღალავი სწავლებით და ანგელოზებრივი ცხოვრების მოშურნეობით მამა დავითმა ბევრი ცეცხლმსახური მოაქცია ქრისტეს ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ რჯულზე.

მოგვები ხედავდნენ, რომ დავითი უფრო და უფრო დიდ სიყვარულს იხვეჭდა ხალხში და ყოველნაირად ცდილობდნენ, შეებღალათ მისი სახელი. ერთ კვირა დღეს საქადაგებლად ქალაქში ჩამოსულ წმიდა მამას მასზე წინასწარ შეთხზული ცილისწამების მოწმედ მეძავი ქალი მოუყვანეს. მეძავმა შეკრებილი ხალხის წინაშე მამა დავითს მრუშობა დააბრალა. უფლის მსასოებელმა მოძღვარმა ქალის მუცელს ჯვრის ნიშნიანი რკინის კვერთხი შეახო და ნაყოფს უბრძანა. ეთქვა ნამდვილი მშობლის ვინაობა. მანაც სასწაულებრივად თავის მამად ვინმე მჭედელი აღიარა. ამბის მოთავე შერცხვენილმა მოგვებმა ქალს ქვები დაუშინეს. მათ ხალხიც აყვა. ღირსმა დავითმა ვერ შესძლო მათი შეჩერება და ცილისმწამებელი ქვებით ჩაქოლეს. ამ ამბის შემდეგ გულგატეხილმა ბერ ლუკიანესთან ერთად დატოვა ქალაქი. იმ ადგილზე, სადაც წმიდა მამას უყვარდა ქადაგება, ამჟამად აღმართულია ***ქაშვეთად წოდებული წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია.***

ღირსმა მამამ, განდეგილთა წესისამებრ, ხალხისგან მოშორებით ისურვა დამკვიდრება. ამისთვის მან ***კახეთში, ყარაიას ველზე***, გადაშლილი გარეჯის უდაბნო ამოირჩია, მზისგან გადამწვარი, ქვეწარმავლებით სავსე, კლდოვანი ადგილი, და ლუკიანესთან ერთად კლდეში გამოკვეთილ პატარა ქვაბულში მოაწყო სენაკი. მზის შემწველ სიცხეში უწყლობით შეწუხებული ლუკიანე მამა დავითმა ღვთის სასოებით ანუგეშა. ღირს მამებს საკვებად იქვე ამოსული მწვანილეულობა ჰქონდათ. ზაფხულში მათი საკვები გადახმა და ლუკიანეც შეშფოთდა. წმიდა მოძღვარმა კვლავ ანუგეშა იგი ღვთის შემწეობის იმედით და მართლაც მალე მათ წინ ორი ირემი გაჩნდა ნუკრთან ერთად. ლუკიანემ ირმები მოწველა და რძიანი ჯამი მამა დავითს გაუწოდა. მან ზედ ჯვარი გამოსახა და რძე ყველად იქცა. წმიდა ბერში მოქმედ ღმერთს ლუკიანემ მადლობა შესწირა და აღუთქვა მას, რომ „უკეთუ განილინნენ ხორცნი ჩემნი სიყმილითა და მოაკლდეს სული ჩემი წყურვილითა, არღარა სად ვზრუნვიდე, რომელსავე მოკუდავთა ამათ და დაუდგრომელთა ხორცთათვის. ამაოსა ამის და წარმავალსა საწუთოსათვის, არც ვდრტვნვიდე მე საზრდელთათვის, ვითარცა ურჩი და ურწმუნო ისრაელი, მომხსენებელი ხორცთა და სიავეთა ეგვიპტეთა“.

ოთხშაბათს და პარასკევს ისინი საზრდელს სულ არ იღებდნენ და მხოლოდ ლოცულობდნენ, ირმებიც კვირის ამ დღეებში მათთან არ მოდიოდნენ. იმ სენაკის ქვემოთ, სადაც მოღვაწენი ცხოვრობდნენ, ერთი გამოქვაბული იყო. ამ გამოქვაბულში აჯაგრული, უზარმაზარრქიანი საზარელი მხეცი მკვიდრობდა ცეცხლივით მობრიალე თვალებით. ერთ დღეს ირმებმა, რომლებიც ჩვეულებისამებრ მოდიოდნენ მამებთან სამსახურის გასაწევად, მხეცის გამოქვაბულის წინ გაიარეს, რომელმაც მათ ნუკრი მოსტაცა და შეჭამა. შეშინებულმა ირმებმა მამა დავითთან მიირბინეს. წმიდა მამამ ქრისტეს ჯვრის ნიშნიანი რკინის კვერთხი აიღო და საზარელი მხეცის საპოვნელად ირემთა კვალს

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**31 მაისი, 2024 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდა.

დღის წესრიგის I საკითხზე: ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში“*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა*** **მარინა თედიაშვილმა.**





**როგორც მან აღნიშნა**:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 63769,805 ლარით ანუ დამტკიცებულ 32676,700 ლართან შედარებით 31093,105 ლარით (95 %) გაიზარდა.

***ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაემატა 11908,839 ლარი,*** მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებით 8549,205 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წლის 28 დეკემბრის №2401 განკარგულებით 668,000 ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებით 2059,000 ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების განსახორციელებლად მიმდინარე წლის 15 იანვრის №56 განკარგულებით 632,634 ლარი;

მიმდინარე წლის 12 მარტის №322 განკარგულებით მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოეყო დამატებით მიზნობრივი ტრანსფერი 20,000 ლარი. წინა წლის ნაშთიდან განაწილდა სულ 19164,266 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ფონდებიდან 1483,784 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 17680,482 ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 19397,463 ლარს, მიმდინარე წლის 1 აპრილის მდგომარეობით 17796,243 ლარს.

2024 წლის ბიუჯეტის ***პირველი კვარტლის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 74 %–ით (გეგმა 12220,414 ლარი, ფაქტი 9005,475 ლარი).***

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება ასეთია:** მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა შეადგინა სულ 1485,283 ლარი, გეგმის 1748,936 ლარის 85 %; მ.შ. საკრებულოს 343,745 ლარი გეგმის 381,940 ლარის 90 %; მერიის 1141,538 ლარი გეგმის 1215,996 ლარის 94 %;

**ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებმა** შეადგინა სულ 4710,000 ლარი გეგმის 10016,268 ლარის 47 %, მათ შორის:

1) ***საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება*** 2370,080 ლარი გეგმის 6296,927 ლარის 38%, აქედან გზების მიმდინარე შეკეთება 508,000 ლარი გეგმის 631,579 ლარის 80 %;

**შ.პ.ს. „საგარეჯო“** 73,410 ლარი გეგმის 139,300 ლარის 53 %; ***ახალი გზების მშენებლობა*** 1786,516 ლარი გეგმის 5522,748 ლარის 32 %; ***საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება*** 2,154 ლარი გეგმის 3,300 ლარის 65 %;

2) **წყლის სისტემების განვითარება** 515,555 ლარი გეგმის 933,520 ლარის 55 %; აქედან ***სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია*** 322,794 ლარი გეგმის 693,720 ლარის 47 %; ***სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია*** - ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“ 192,762 ლარი გეგმის 239,800 ლარის 80 %;

3) **გარე განათება** 514,048 ლარი გეგმის 565,560 ლარის 91 %, მათ შორის: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 430,288 ლარი გეგმის 476,000 ლარის 90 %, გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 83,760 ლარი გეგმის 89,560 ლარის 94 %;

4)**ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია** 743,244 ლარი გეგმის 1499,680 ლარის 50 %;

5)**კეთილმოწყობა** 412,200 ლარი გეგმის 522,880 ლარის 79 %, ეს არის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი;

6) ***სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია*** 95,264 ლარი გეგმის 99,333 ლარის 96 %;

7) ***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა*** 59,609 ლარი გეგმის 98,368 ლარის 61 %; ***დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯებმა*** შეადგინა 816,551 ლარი გეგმის 1876,116 ლარის 44 %; მათ შორის:

1)***დასუფთავება და ნარჩენების გატანა*** 24,104 ლარი გეგმის 190,000 ლარის 13 %;

2) ***შ.პ.ს. "სუფთა მუნიციპალიტეტი 2018"*** 425,684 ლარი გეგმის 500,000 ლარის 85 %;

3) ***მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება*** 366,764 ლარი გეგმის 560,748 ლარის 65 %;

4) ***კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში*** გეგმა 625,368 ლარი.

***განათლების ხარჯები*** დაფინანსებულია 1450,389 ლარით გეგმის 1988,423 ლარის 73 %–ით; მათ შორის: 1) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება-ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“ 1191,445 ლარით გეგმის 1442,200 ლარის 83 %;

2) ***სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა*** 18,630 ლარით გეგმის 205,856 ლარის 9 %;

3) ***ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ ხარჯებმა*** შეადგინა 38,216 ლარი გეგმის 58,100 ლარის 66 %;

4) ***სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში*** 3,000 ლარი გეგმის 100 %;

5) ***საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა*** 199,098 ლარი გეგმის 279,267 ლარის 71 %; ***კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი*** დაფინასებულია 1397,075 ლარით გეგმის 2042,822 ლარის 68 %, აქედან,

1) ***სპორტის სფეროს განვითარება*** დაფინანსდა 766,253 ლარით გეგმის 1201,837 ლარის 64 %, მათ შორის: ა(ა)იპ "საგარეჯოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლა" 13,166 ლარით გეგმის 14,000 ლარის 94 %; სპორტის განვითარების ხელშეწყობა-(ა(ა)იპ 'საგარეჯოს სპორტული გაერთიანება") 269,044 ლარით გეგმის 287,500 ლარის 94 %;

***რაგბის განვითარების ხელშეწყობა***-(ა(ა)იპ რაგბის კლუბი"ვეფხვები") 236,079 ლარით გეგმის 252,100 ლარის 94 %; ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა-(შ.პ.ს.

საფეხბურთო კლუბი („საგარეჯოს გარეჯი") 57,967 ლარით გეგმის 174,100 ლარის 33 %;

***სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა*** 47,745 ლარი გეგმის 50,000 ლარის 95 %;

***სპორტული ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაცია, მშენებლობა*** 142,254 ლარი გეგმის 424,137 ლარის 34 %;

2)***კულტურის სფეროს განვითარება*** დაფინანსდა 600,971 ლარით გეგმის 792,085 ლარის 76 %-ით, მათ შორის ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა" 65,416 ლარი გეგმის 99,400 ლარის 66 %; ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება 256,724 ლარი გეგმის 344,046 ლარის 75 %; კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 210,494 ლარი გეგმის 272,239 ლარის 77 %;

***კულტურული ღონისძიებები*** 68,338 ლარი გეგმის 76,400 ლარის 89 %;

3)***ახალგაზრდობის მხარდაჭერა*** 16,648 ლარი გეგმის 34,000 ლარის 49 %;

4) ***საგამომცემლო საქმიანობა*** 13,202 ლარი გეგმის 14,900 ლარის 89 %.

***ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა*** დაფინანსდა 747,397 ლარი გეგმის 1586,063 ლარის 47 %, აქედან, ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდა 241,685 ლარით გეგმის 969,492 ლარის 25 %; მათ შორის:

1) ***საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა*** დაფინანსდა 39,947 ლარით გეგმის 67,800 ლარის 59 %;



2) ***სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსდა*** 201,738 ლარით გეგმის 901,692 ლარის 22 %; ***სოციალური დაცვა*** დაფინანსდა 505,712 ლარით გეგმის 616,571 ლარის 82 %, მათ შორის: 1)პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 1,250 ლარით გეგმის 3,000 ლარის 42 %, დახმარება გაეწია 3 ოჯახს;

2) ***მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა*** 43,900 ლარით გეგმის 100 %, დახმარება გაეწია 98 ოჯახს;

3) ***ბავშვთა კვების*** პროგრამა 4,246 ლარით გეგმის 7,000 ლარის 61 %, დახმარება გაეწია 16 ბავშვს;

4) ***უდედმამო ბავშვების*** დახმარების პროგრამა 6,000 ლარით გეგმის 100 %, დახმარება გაეწია 20 ბავშვს;

5) ***შშმ 18 წლამდე*** ბავშვთა დახმარების პროგრამა 19,400 ლარით გეგმის 25,000 ლარის 78 %, დახმარება გაეწია 97 ბავშვს;

6) ***შშმ პირის სტატუსის*** მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 23,027 ლარით გეგმის 40,400 ლარის 57 %, ფულადი დახმარება გაეწია 30 უსინათლო პირს, დაფინანსდა 3 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსი, 1 ბენეფიციარის ეტლის შეკეთების მომსახურების ხარჯი, 1 შშმ პირის სასწავლო- სატრენინგო მომსახურების ხარჯი, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი „გეორგიანელი"-ს მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები, შპს &ქუოტ;კლინიკა ლაიფი&ქუოტ;-ს ბაზაზე არსებული შშმ პირთა სათემო ორგანიზაციის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის დაელექტროენერგიის ხარჯები;



7) ***მარტოხელა სტატუსის მქონე*** მშობლების დახმარების პროგრამა 2,400 ლარი გეგმის 4,000 ლარის 60 % (8 ბენეფიციარი);

8) ***სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით*** დახმარების პროგრამა 135,735 ლარი გეგმის 145,000 ლარის 94 %( 310 ბენეფიციარი);

9) ***მედიკამენტების შეძენაზე*** დახმარების პროგრამა 85,444 ლარი გეგმის 90,000 ლარის 95 % (270 ბენეფიციარი);

10) ***ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა*** 37,686 ლარი გეგმის 44,500 ლარის 85 % (52 ბენეფიციარი);

11) ***ბიკარბონატული ჰემოდიალიზით/თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების*** პროგრამა 11,550 ლარი გეგმის 15,600 ლარის 74 %( 39 ბენეფიაციარი);

12) ***ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების*** პროგრამა 4,040 ლარი გეგმის 14,000 ლარის 29 %( 372 ბენეფიაციარი);

13) ***მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით*** დახმარების პროგრამა 18,600 ლარი გეგმის 20,000 ლარის 93 % (186 ბენეფიციარი);

14) ***სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა*** დღესასწაულებზე 14,310 ლარი 100 %, ეს არის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენის ხარჯი, გადაეცათ ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის სოციალურად დაუცველ 250 მოქალაქეს;

15) ***მოსახლეობის ტრანსპორტირების*** პროგრამა 2,340 ლარი გეგმის 6,300 ლარის 37 %;

16) ***ხანდაზმულ*** (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 3,900 ლარი გეგმის 4,500 ლარის 87 % (13 ბენეფიციარი);

17) ***უპატრონო და სოც დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა*** 5,000 ლარი გეგმის 15,000 ლარის 33 % (10 ბენეფიციარი);

18) ***მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა*** 3,895 ლარი გეგმის 6,211 ლარის 63 % (19 ოჯახი);

19) ***უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება*** 73,631 ლარი გეგმის 90,800 ლარის

81 % (220 ბენეფიციარი);

20) ***წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა*** 5,271 ლარი გეგმის 5,900 ლარის 89 %;

21) ***სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება*** 3,938 ლარი გეგმის 15,000 ლარის 26 % (4 ბენეფიციარი);

22) ***მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა*** 150 ლარი გეგმის 100 %.

სხდომაზე ასევე, განხილულ იქნა საკითხი:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთისთვის (ს/კ 55.15.62.007.613) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ“

მომხსენებელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იურიდიულისამსახურის უფროსი სპეციალისტი მაღლენა სამუნაშვილი

სხდომაზე წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ კითხვები დასვეს დეპუტატებმა.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ალექსი ბილაშვილმა.**

# ჩვენი თანამემამულე

## „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“

# ერის რჩეული, სახალხო პოეტი

## „მე ვხედავ მზეს...“



***გოგლასეულ**, იასამნებითა და ვარდებით აფეთქებულ, ციხე-ბურჯებითა და ეკლესია-მონასტრებით დამშვენებულ სოფელში დაიბადა და გაიზარდა. მისთვის პატარძეული დაბადებიდანვე მხოლოდ ჩვეულებრივი, მშობლიური სოფელი როდი იყო... თითოეული უბანი, თითოეული ეზო-ჭიშკარი, აქა-იქ შემორჩენილი, კრამიტით გადახურული, ხის ძველებური აივნებით დამშვენებული, დრო-ჟამისგან გაშავებული ფანჯრებიდან მომზირალი სახლები ზოგჯერ უტყვი, ზოგჯერ კი მოსაუბრე იყო იმ ადამიანების ცხოვრებისეული ყოველდღიურობისა, რომლებიც აქ დაიბადნენ, გაიზარდნენ, მხოლოდ ფიზიკურად არ დაატყვეს აქაურ შარა-ორღობეს თავიანთი ნატერფალები და საქართველოს ქალაქებს, საზღვრებს გარეთ არსებულ ქვეყნებსაც მოსდეს, რამდენი, როგორი, რა ნიჭის ადამიანები დაიბადნენ და გაიზარდნენ აქ, გოგლას მშობლიურ სოფელ პატარძეულში. ხოდა, ეს ბევრს, უამრავ პასუხისმგებლობას ავალებდა წინაპრებისა თუ წინა თაობის ადამიანების მეხსიერებას შემორჩენილი თუ, მის თვალწინ საქვეყნოდ დაფასებული თანასოფლელების სახეები და მათ მიერ ნაკეთები საქმეები. ვფიქრობთ, არც ერთ ქართულ სოფელს არ ჰყავს იმდენი ექიმი, პროფესორი, იმდენი გამომგონებელი, იმდენი არქეოლოგ-ისტორიკოსი, ფილოლოგი, სოფლის მეურნეობის წამყვანი სპეციალისტი, დამსახურებული პედაგოგი, მსოფლიოში ცნობილი მსახიობი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი, გმირი, რამდენიც და როგორიც სოფელ პატარძეულს.*

**სწორედ** აქ, 1959 წლის 31 ივლისს დაიბადა ჩვენი, ყველასათვის საყვარელი და საამაყო ***პოეტი რომან ზუკაკიშვილი,*** მაგრამ მოდით, თამამად ვთქვათ, რომ მხოლოდ პოეტი არ შედის მის რეგალიებში.

**დაიბადა** 1959 წლის 31 ივლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. 1990 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი. არის საქართველოს მწერალთა კავშირის, მწერალთა ეროვნული აკადემიისა და შოთა რუსთაველის საზოგადოების წევრი. ღირსების ორდენის კავალერი, საპატიო გარეჯელის წოდების მფლობელი, სამეცნიერო- საერო აკადემიის „ფაზისის“ აკადემიკოსი, გალაქტიონის, გიორგი ლეონიძისა და ანა კალანდაძის სახელობის პრემიების ლაურეატი. ახლახან, 2024 წლის მაისში მკითხველთა მრავალათასიანი არმიისა და რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელით მიენიჭა ***ერის რჩეული სახალხო პოეტის*** სახელი. არის 17 პოეტური კრებულისა და 100-ზე მეტი სასიმღერო ტექსტის ავტორი, მისი ლექსების მცირე ნაწილი თარგმნილია გერმანულ და რუსულ ენებზე. არის თანაავტორი რამდენიმე საბავშვო მიუზიკლისა, ის აგრეთვე ირლანდიური პოეზიის ანთოლოგიის ერთ-ერთი მთარგმნელია. გამოცემული აქვს აგრეთვე ერთი იუმორისტული ნაწარმოებების კრებული.

2022 წლიდან არის ლიტერატურულ ალმანახ „ამერ-იმერის“ თანარედაქტორი.

რომან ზუკაკიშვილი არის 17 წიგნის ავტორი. აქედან 11 წიგნი გამოიცა სწორედ უმძიმესი დაავადების განვითარების პერიოდში. მე-17 წიგნმა, სულ ახლახანს გაახარა მკითხველი. წიგნში – „შეხვედრა საკუთარ თავთან“ პოეტის ნაფიქრალ-ნააზრევი ჩვენს ყოველდღიურობასა და მანკიერ თუ მზისადარ მხარეებზე დაგვაფიქრებს.

წლების მანძილზე მუშაობდა შემდეგ თანამდებობებზე: სოფ პატარძეულის გამგებლად, ამავე სოფლის სკოლის დირექტორად, საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების უცხოური ენების მეთოდისტად.

90-იანი წლების ბოლოს მიენიჭა პედაგოგის უმაღლესი კატეგორია, ამჟამად მუშაობს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე **თინათინი** რომელიც პედაგოგია, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ვაჟიშვილები **დემეტრე**-სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, **გიორგი**- ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი, რძალი – **თამარი** – ჟურნალისტი და შვილიშვილი **ერეკლე** 3 წლის.

2005 წლიდან თავი იჩინა თვალის იშვიათმა და უმძიმესმა დაავადებამ, რომელიც მკვეთრად და სწრაფად განვითარდა, მიუხედავად ამისა, პოეტი განაგრძობს ჩვეულ აქტიურობას, როგორც საზოგადოებრივ და საყოფაცხოვრებო, ასევე შემოქმედებით საქმიანობაში.

***დიახ, სულ ახლახანს, მაისში საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, პოეტ რომან ზუკაკიშვილს მრავალათასიანი ხელისმომწერის მოთხოვნის საფუძველზე „ერის რჩეული ( სახალხო ) პოეტის“ სტატუსი მიენიჭა და ორგანიზაცია „ერის რჩეული 1“-ის დიპლომი და სამკერდე ნიშანი „რჩეული“ გადაეცა.***

მიმდინარე წლის 18 მაისს, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) დარბაზში გაიმართა პოეტ, რომან ზუკაკიშვილის შემოქმედებითი საღამო, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: რეჟისორი კიაზო ჯობავა, ორგანიზაცია „ერის რჩეული 1“-ი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სპმთპ-ის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი რომან ზუკაკიშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის, მწერალთა ეროვნული აკადემიის, რუსთაველის საზოგადოების წევრი, გალაქტიონის, გიორგი ლეონიძის და ანა კალანდაძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, სამეცნიერო-საერო აკადემია „ფაზისის“ აკადემიკოსი და საპატიო გარეჯელის ტიტულის მფლობელია.

* * *

„პოეტი რომან ზუკაკიშვილი, თანამედროვე საქართველოში, ფრიად გამორჩეული შემოქმედია! დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ დღეს ჩვენს მკითხველს, ჩვენს ახალგაზრდობას სწორედ ისეთი ლექსი სჭირდება, როგორსაც რომან ზუკაკიშვილი წერს. ეს არის პატრიოტული მუხტით აღსავსე, თანაც მთქმელი იმისა, რომ ჩვენი მამა-პაპური ვალია გავუფრთხილდეთ ამ კურთხეულ მიწას, რომელიც სწორედ რომ ღვთისგან გვებოძა. მოთმინებას, ურთიერთშერიგებას, მოყვასის სიყვარულს, ჭირში გამძლეობას, ოჯახის სიწმინდისკენ და ქართული ტრადიციების ერთგულებისკენ მოუწოდებს რომან ზუკაკიშვილის პოეზია მკითხველს! მეგობრებო, ყურადღებით მოუსმინეთ ამ დიდებულ პოეტს! იგი, მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ბურჯი და თანამედროვე პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელია!“-მიმართა შეკრებილ საზოგადოებას ***შოთა რუსთაველის პრემიის ლაურიატმა, მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ ბატონმა რევაზ მიშველაძემ.***

***საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ***, ორგანიზაციის სახელით მადლობა გადაუხადა ბატონ რომან ზუკაკიშვილს, როგორც პოეტს, პროფკავშირის ლიდერს და საუკეთესო მეგობარს.

„ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელი რომან ზუკაკიშვილი იმ გამორჩეულ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით, შემოქმედებით და საქმიანობით ხელს უწყობენ საზოგადოებას უკეთ განვითარების და დიდ კვალს ტოვებენ ჩვენი ერის სულიერ სამყაროში. იყო შემოქმედი, პოეტი და ამის პარალელურად პროფკავშირის ლიდერი, ზრუნავდე პედაგოგთა უფლებების დაცვისათვის, სამაგალითო და განსაკუთრებული შემთხვევაა.

ბატონ რომანს, როგორც პროფკავშირის ლიდერს და ჩვენი ორგანიზაციის გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოს წევრს, დიდი წვლილი შეაქვს პროფკავშირის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში.

პოეტის თვალით დანახული პროფკავშირის საქმიანობა და მისი პრინციპული, კრეატიული წინადადებები, ფასდაუდებელია პირადად ჩემთვის და მთლიანად ჩვენი ორგანიზაციისთვის“ - განაცხადა ***საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ.***

შემოქმედებით საღამოს ესწრებოდნენ: მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ვაჟა ჩორბელი,** კომპოზიტორი **ვაჟა დურგლიშვილი,** პროფესორი და ჟურნალისტი **ივანე ჯაფარიძე,** წმ გიორგის ბრწყინვალების ორდენოსანი, პოეტი **მზია ხეთაგური,** მწერალი **ზაზა ქინქლაძე**, ფილოლოგი, რედაქტორი, პედაგოგი **დიანა შალამბერიძე,** საქართველოს პარლამენტში ქართულ - ირლანდიური ცენტრის ხელმძღვანელი **ნანა შალამბერიძე, საქართველოს პარლამენტში** საგარეჯო-გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის საგარეჯოს ბიუროს წარმომადგენელი **გია თათრიშვილი,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან გილაშვილი** და სხვა წარმომადგენლები, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი, პროფესიონალ მასწავლებელთა საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სპმთპ-ის რაიონული ორგანიზაციების ლიდერები, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ლელა ფანოზიშვილი**, სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის დირექტორი **ნინო ბურდიაშვილი**, თბილისისა და საგარეჯოს საჯარო სკოლების მასწავლებლები.

შეხვედრაზე პოეტმა რამდენიმე ლექსი თავად წაიკითხა.

ყველა გამომსვლელმა სიამაყით აღნიშნა რომან ზუკაკიშვილის ლექსების მნიშვნელობა. მათ რომან ზუკაკიშვილის შემოქმედებას პატრიოტული სულისკვეთებით, ეროვნული ტრადიციების პატივისცემით, სიკეთით და სიყვარულით გამსჭვალული პოეზია უწოდეს.

მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა რომან ზუკაკიშვილის ლექსზე შემქნილი, კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის სიმღერა შეასრულა. ღონისძიებაზე გამოვიდა ბავშვთა ანსამბლ „მთიების“ სოლისტი მარიამ ჯაჯანიძე.

დასასრულს, იდეის სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა კიაზო ჯობავამ რომან ზუკაკიშვილი „ერის რჩეულ (სახალხო) პოეტად“ დაასახელა. მან ორგანიზაცია „ერის რჩეული 1“-ის სახელით დიპლომი და სამკერდე ნიშანი გადასცა პოეტს.

* * *

**ლია შენგელიძე** – ***პოეტი, სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორი:***

– ვულოცავ მეგობარ პოეტს, რომან ზუკაკიშვილს, ერის რჩეულის, სახალხო პოეტის ტიტულს! ნაღდ პოეტს ოდა ეკუთვნის წრფელი, სიყვარულით და სინათლით სავსე!

არ ვიცი, როგორ წარმოვაჩენ გარეჯელი პოეტის, რომან ზუკაკიშვილის, პიროვნულ ღირსებებსა და უმაღლეს პოეტურ ხედვას... მე მაპატიე, ჩემო სულიერო მეგობარო, დიდო პოეტო, თქვენს შესაფერ სათქმელს თუ ვერ გეტყვით... არც დადუმებას ვარჩევ ამჯერად...

თქვენი პოეზიის გუშინდელი ზეიმი სულის საზრდო და გულის ნუგეში იყო უიმედობით დამძიმებულ ქართულ მიწაზე, ყოველდღიური რუტინიდან ლირიკულ გადახვევას, თქვენთან , თქვენს ლექსებთან ერთად ვზეიმობდით ნაცნობ-მეგობრები, ნათესავ-ახლობლები, ერთგული მკითხველები. თითოეული გამომსვლელის სიტყვა , გულისნადები, თქვენს უმაღლეს ადამიანობასა და თქვენი ლამაზი ლექსების გრძნობისმიერობაზე მეტყველებდა, ამაღელვებელ-ამამაღლებელი იყო თქვენგან არაჩვეულებრივი დეკლამატორული ტონით წაკითხული თქვენივე ლექსები. ახლა ხელთ მიკავია თქვენი პოეტური კრებული „სიყვარულის გზა“, ვკითხულობ ლექსებს და ვამაყობ, რომ გიცნობთ ცისა და მიწის, ღვთისა და კაცის შუამავალს, ქართული ფესვებით ნასაზრდოებ ჭეშმარიტ ქართველ პოეტს. ეს თქვენ შეგეძლოთ, გეთქვათ:

„ვარდის სუნთქვით გეფერები,
შენს იმედად ვხმაურობ,
საქართველოვ, გეფერები,
ჩემო დღესასწაულო!“
( ,ვარდობისთვე“)

საერთო ქართული სატკივრით გულმტკივნეული პოეტის მოწოდებაა : „ ქართველო, დადექ ქართველთან და ვეღარ დაგძლევს ვერავინ!“

თემატურად მრავალფეროვანია რომან ზუკაკიშვილის პოეტური სამყარო. შთამაგონებელია მისი ლექსების, ერთი შეხედვით, რომანტიკულ- სენტიმენტალური, სატრფიალო სტრიქონები:

„ამ ქუჩაზე ჩუმად დავეხეტები,
გზას მინათებს შენკენ ფიქრის სანთლები,
ქალაქს აწვიმს ჩემი ცრემლის წვეთები,
შენ კი სად ხარ, მითხარ , რას მემართლები?!.“

მტკივნეულ გულზე რამდენს მალამოდ დაედება ლოცვასავით აღვლენილი სტრიქონები:

„განწირულ იმედს უშველის ვინც კი,
ფიქრით თუ სიტყვით, თუ დიდი რისკით,
ვინც გადაარჩენს ერთ გულის ფეთქვას,
ათი ათასჯერ უშველოს ღმერთმა!“

***მახსოვს , ერთხელ ვსაუბრობდით მე და პოეტი. წუხდა თვალის ჩინის დაკარგვის გამო. -არა , ბნელს არ ვხედავო,-მითხრა, - თითქოს ვარსკვლავები ციმციმებენ ჩემს თვალებში, თითქოს ღვთიური შუქი ანათებსო...***

***„ჩემი სიზმარი ვარდზე ნამია, მთებზე თოვლია,
ჩემი თვალები ისე დასუსტდნენ,
რომ მზესღა ვხედავ,
სწორედ ამიტომ ყველა თქვენგანი მე მზე მგონია...“***

მდიდარია რომან ზუკაკიშვილის ბიოგრაფია. იგი სხვადსხვა წლებში არა ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, ამჟამად განათლების პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია, პარალელურად ეწევა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია, მრავალი ჯილდოს მფლობელია. ბევრის თქმა შეიძლება რომან ზუკაკიშვილის პოეზიის შესახებ. ***ღირსეულ ერს ღირსეული შემოქმედის გაცნობა-დაფასება მართებს.***

კიდევ ერთხელ გილოცავ , ძვირფასო პოეტო , ერის რჩეულო, სახალხო პოეტის ტიტულს, გისურვებ ჯანმრთელობასა და შემოქმედებით აღმავლობას!

* * *

**ნათია ჯიქურაშვილი:** წლების წინ მქონდა პატივი ამ საოცარ შემოქმედთან ინტერვიუ ჩამეწერა, შესაბამისად მისი რეგალიების შესახებ ინფორმაციას კარგად ვფლობ: პოეტი რომან ზუკაკიშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის, მწერალთა ეროვნული აკადემიისა და რუსთაველის საზოგადოების წევრია. მას მიღებული აქვს ღირსების ორდენი, გალაკტიონ ტაბიძის,

დასასრული მე-7 გვერდზე

# მართლმადიდებლობა

## 20 ივნისი –წმინდა დავით გარეჯელის ხსენების დღეა!

## დავითის ლავრა



**დავითის** ლავრა კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს. იგი დავით გარეჯის მონასტრის პირველი კომპლექსია. დავით გარეჯის მრავალრიცხოვან მონასტრებს შორის დღესდღეობით მხოლოდ სამია მოქმედი – დავითის ლავრა, დოდოს რქა და ნათლისმცემელი. VI საუკუნეში გარეჯის უდაბნოში, თავის მოწაფესთან – ლუკიანესთან ერთად, მოვიდა ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი დავით გარეჯელი. დავითი და ლუკიანე პატარა ბუნებრივ მღვიმეში დაემკვიდრნენ. მალევე მათთან მრავალი ბერი შემოიკრიბა და უკვე ახალი, ხელოვნურად შექმნილი, ქვაბ-სადგომების კვეთა დაიწყო. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდეგ დავითის ლავრის სახელწოდებით გახდა ცნობილი. ***VI საუკუნეშივე, რუსთავის ერისთავის, ბუბაქარის*** დახმარებით, კლდეში გამოკვეთეს ***ფერისცვალების ეკლესია***, რომელიც ***დავითისა და ლუკიანეს განსასვენებელია***. ამჟამად დავითის ლავრაშია ***დოდო გარეჯელის საფლავიც***, რომელიც 1881 წელს, დოდოს რქის სავალალო მდგომარეობის გამო, გადმოასვენეს. დროთა განმავლობაში მონასტერი გაიზარდა და განშტოებები წარმოქმნა. დავითის ცხოვრებაშივე შეიქმნა ორი განშტოება – დოდო გარეჯელის დაარსებული დოდოს რქა და ლუკიანეს დაარსებული ნათლისმცემელი. მონასტერმა, დაარსებიდან მოყოლებული, განვითარების გარკვეული ეტაპები გაიარა, ჩამოყალიბდა სამონასტრო ცხოვრების საკუთარი წესი, გამოქვაბულთა სახასიათო გადაწყვეტა და ა.შ. კომპლექსის უძველესი სადგომები მცირე ზომისა და არაწესიერი ფორმისაა, ასევე ისინი მოკლებულია ყოველგვარ გაფორმებას, მოხერხებულობასაც და მკაცრად ასკეტურია. უფრო გვიანდელი სადგომების გეგმა წრესთან მიახლოებულია და კამაროვან ფორმასთან მიახლოებული გადახურვა აქვთ. სამონასტრო კომპლექსის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი IX საუკუნის გამოჩენილ ქართველ სასულიერო მოღვაწეს – ***ილარიონ ქართველს*** უკავშირდება, რომელიც 837–848 წლებში დავითის ლავრაში მოღვაწეობდა. ილარიონ ქართველმა გააფართოვა მონასტრის მთავარი ეკლესია – ფერისცვალების ეკლესია და ეკვდერიანი ეკლესიის რთული ფორმა შექმნა, რომელიც შემდეგ კანონიკური გახდა გარეჯის მონასტერთათვის. იგი ასევე დავითის ლავრის კომპლექსის ფარგლებში ქმნის საფილიალო განყოფილებას (გამოქვაბულთა კომპლექსს), რომელიც ილარიონ ქართველის ფილიალის სახელითაა ცნობილი. ილარიონის ფილიალი მოიცავს ეკლესიას, სატრაპეზოსა და სხვა სადგომებს. აქ ქვაბულთა დამუშავება მკვეთრად გამორჩეულია წინა პერიოდის ნიმუშთაგან: ეკლესიაში დაცულია გეომეტრიული ფორმები და სიმეტრია, კამარა ცილინდრულია, გრძივ კედლებში დეკორატიული თაღედებია, სატრაპეზოში გამოყენებულია ორმალიანი ღრმა თაღედი, ნიშები და სხვა. XI საუკუნეში სელჯუკთა შემოსევის გამო მონასტრის განვითარება შეფერხდა, თუმცა XI საუკუნის დასასრულიდან (სელჯუკთა განდევნის შემდეგ) კომპლექსი კვლავ აღმავლობას განიცდის და ფართოვდება, XII-XIII საუკუნეებში კი განვითარება მწვერვალს აღწევს. აღმშენებლობა გრძელდება გვიან შუა საუკუნეებშიც, ამ პერიოდში კომპლექსს შეემატა კლდეში ნაკვეთი სადგომები, თავდაცვითი ნაგებობები, ეკლესიები და საცხოვრებელი ნაგებობები, რომელთა შორის გამორჩეულია ***კახთა მეფე ალექსანდრე II-ის კოშკები*** და მონასტრის კარიბჭე. ერთ-ერთი კოშკის მეორე სართულზე მოხატულობის ნაშთია შემორჩენილი. კარიბჭე შემკულია რელიეფებით, რომლებიც დავით გარეჯელთან და გარეჯის მონასტერთან დაკავშირებულ სასწაულებს ასახავს, აქ გამოსახულია ჯვრები, არწივი თევზით, ორი ყორანი ვაშლებით, ირმები ნიკრებით და ჯაჭვით დაბმული ორი ლომი. კარიბჭის შესასვლელის შეისრული ფორმის ტიმპანში წარწერაა: "განმიხვენით მე ბჭენი სიმართლისა შევიდე მას შინა და აუარო უფალსა. ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ მას შინა. ქორონიკონს ტპგ". XVII საუკუნის მიწურულიდან მონასტრის აღმშენებლობასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარმა – ***ონოფრე მაჭუტაძემ.*** დავითის ლავრა XVIII საუკუნის მიწურულამდე მოქმედი მონასტერი იყო. იგი საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას. XIX საუკუნეში აქ ცხოვრება შეწყდა, თუმცა დღეს კვლავ მოქმედია. დავითის ლავრა მოიცავს სხვადასხვა პერიოდის მრავალ მღვიმესა და ნაგებობას: მთავარ ფერისცვალების ეკლესიას, კლდეში ნაკვეთ ეკლესიებს, სენაკებს, სხვადასხვა დანიშნულების სადგომებს (სატრაპეზო, საჯინიბო და ა.შ.), წყალშემკრებ სისტემასა და წყალსატევს, ქვით ნაგებ ეკლესიას, სათავდაცვო და საცხოვრებელ ნაგებობებს.

## ფერისცვალების ეკლესია



**დავითის** ლავრის ფერისცავლების ეკლესია კლდეში ნაკვეთ ცალნავიან ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც ჩრდილოეთიდან სწორკუთხა მოხაზულობის მოკლე სადგომი ეკვრის. დარბაზი აღმოსავლეთით აფსიდით სრულდება. სადგომი გასასვლელებით უკავშირდება აფსიდსაც და დარბაზსაც. ეკლესიას ერთი შესასვლელი აქვს – სამხრეთიდან. ტაძარი ორი სარკმლით ნათდება, ერთი სარკმელი აფსიდის სამხრეთ ნაწილშია, მეორე კი – სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში. დარბაზის კამარა ნახევარწრიულია, საკმაოდ სწორი მოხაზულობა აქვს, რაც გვიანი შეკეთებებისა და შელესვების შედეგია. კამარის დასავლეთ ბოლოში და შუაში ცრუ საბჯენი თაღებია გამოყვანილი. დასავლეთის თაღი კონსოლებს ეყრდნობა, მეორე თაღი კი – პილასტრებს. ეკლესიის კედლებსა და აფსიდს მცირე სიმაღლის ხარისხი შემოუყვება. საკურთხევლის შუაში ტრაპეზია, მის უკან, კედელში – ნიშა. ცნობილია, რომ თავდაპირველი ეკლესია ***ილარიონ ქართველმა*** გააფართოვა და შექმნა ეგვტერიანი ეკლესიის თავისებური ფორმა, რომელიც შემდეგ, გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსთა ეკლესიების კანონიკურ ფორმად იქცა. ტაძარი მოგვიანებითაც რამდენჯერმე გადაკეთდა, დაემატა აგურის ნაწილები, ჩრდილო-აღმოსავლეთ ოთახი და ა.შ. დავითის ლავრის ფერისცვალების ეკლესია დავით გარეჯელისა და ლუკიანეს განსასვენებელია.

## ღირსი მამა დავით გარეჯელი (VI)

**გაგრძელება**

გაჰყვა. მხეცის არად შემრაცხველმა კვერთხი ზე აღაპყრო და მხეცს იმ ადგილიდან შორს გადახვეწა უბრძანა. მხეცი წმინდანის ბრძანებას დაემორჩილა, მაგრამ ის-ის იყო მტკვარში უნდა ჩასულიყო, რომ ის ციდან ჩამოტყორცნილმა მეხმა მეყსეულად დაწვა. ანგელოსმა აუწყა დავითს, რომ მხეცი მდინარიდან ზღვაში შესვლას აპირებდა, სადაც იგი ხალხს დიდ ზიანს მოუტანდა, ამიტომაც მასზე მოწეული რისხვა ღვთის განგება იყო.

უდაბნოში, სადაც წმიდა მამა დამკვიდრდა, ბევრი სხვადასხვა ნადირი იყო. ერთხელ კახელი მონადირეები ირმებს დაედევნენ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იხილეს წმინდა ბერის წინ ცხვრებივით მშვიდად მდგომი ირმები. ირმებს ამჟამადაც ლუკიანე წველავდა. ისინი ფერხთით ჩაუვარდნენ მამა დავითს და შეევედრნენ, ნება მიეცა, რომ მასთან დარჩენილიყვნენ. წმინდანმა, როგორც შვილებსა და ძმებს სთხოვა: „უკუნ იქეცით ადგილადვე და დაბათა თქუენთა და მუნ შინა მსახურებდით ღმერთსა, ბოროტთაგან განყენებულნი, გლახაკთა და უღონოთა ნაკლულოვანებისა აღმვსებელნი, რამეთუ მოწყალებისა მოქმედი გლახაკთა ზედა ღმერთსა ავასხებს".

უკან დაბრუნებულმა მონადირეებმა მამა დავითის ამბავი ხალხში გაავრცელეს. ასე გაემართნენ ქრისტეს ტკბილი უღელის ტვირთვას მოწადინებული ადამიანები მოღვაწეთა უდაბნოსაკენ. წმინდა ბერმა ისინი აკურთხა, რათა სასმელი წყლის შესაგროვებლად კლდეში დიდი ქვევრები ამოეჭრათ და სუსხიანი ზამთრისაგან თავდასაცავად სენაკები გამოეკვეთათ.

### წმინდა მამა დავით გარეჯელის ლავრა

**გარეჯელ** მამებს შეუერთდა სათნოებით ცნობილი ბერი დოდო, ერისკაცობაში - კახელი თავადი, გვარად ანდრონიკაშვილი, რომელიც ბერად შედგომის შემდეგ ნინოწმინდაში განმარტოებით მოღვაწეობდა. როცა მამა დავითმა დაინახა „სიმახვილე დოდოს გონებისა საღმრთოსა შინა", შესთავაზა, მოპირდაპირე კლდის წვერზე სენაკები გაეშენებინა და თან წაეყვანა მეუდაბნოეთა ნაწილი.

ღირსმა დოდომ კლდის წვერზე ორასზე მეტი სენაკი ააგო, მოგვიანებით კი ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა. ასე ჩამოყალიბდა გარეჯის კომპლექსის ერთ-ერთი განშტოება - დოდოს რქა.

დავით გარეჯელს უყვარდა განმარტოებული ლოცვა. ამისთვის წმიდანი კლდის ნაპრალში შევიდოდა ხოლმე და მიწის ცრემლით დამლტობი, ზეციერი მამისადმი აღავლენდა ლოცვებს. ერთხელ როდესაც იგი განმარტოებით ლოცულობდა, მასთან მონადირის ქორისაგან ლტოლვილი კაკაბი მოფრინდა. კაკაბს ქორი მოჰყვა და სულ მალე ნადირობის აზარტში შესული ბარბაროსიც მოჯირითდა. წმინდა მამამ უცნობ მხედარს აუწყა, რომ კაკაბი მფარველობას ითხოვდა და მას უარი უნდა ეთქვა მის მოკვლაზე. ბარბაროსმა არა მარტო ყურად არ იღო ნათქვამი, არამედ ხმალიც აღმართა წმიდანის მოსაკლავად. მაშინ მას ხელი ჰაერში გაუშეშდა. უცებ გამოერკვა და სინანულის ცრემლისღვრით სთხოვა მამა დავითს, რათა იგი სულიერად და ხორციელად განეკურნა. წმინდა მამის ლოცვით ასეც მოხდა. ბუბაქარი, ასე ერქვა იმ ბარბაროსს, ამჯერად წმიდანს შეევედრა, რათა მისი დავრდომილი შვილიც განეკურნა. მართლაც, შინდაბრუნებულ ბუბაქარს გახარებული ბავშვი ხტუნვა-ხტუნვით მიეგება. იგი სრულიად განკურნებულიყო, მაშინ როდესაც მამა დავითი მასზე უდაბნოში ლოცულობდა.

ბუბაქარმა სახედრებზე პური და ფხალი აჰკიდა და სამივე ვაჟიშვილის თანხლებით დაუბრუნდა მეუდაბნოეთ. სურსათ-სანოვაგის ნაწილი მამა დავითს დაუტოვეს, დანარჩენი კი, წმიდანის სიტყვით, ღირს მამა დოდოს წაუღეს, რათა მისგანაც მიეღოთ ლოცვა-კურთხევა. ბუბაქარიცა და ყველა მისი თანმხლებიც მოინათლა. ახლადნათელღებულებმა მოღვაწე ბერებისათვის კლდეში ეკლესია გამოკვეთეს. შემდეგში ეს ეკლესია განასრულა ღირსმა **ბერმა ილარიონმა.**

მამა დავითმა წესად შემოიღო, მათთან დასახლების მსურველს კლდეში სენაკი გამოეკვეთა და სამი წელი განმარტოებით ეცხოვრა. ეს ერთგვარი გამოცდაც იყო მათთვის და უფლისაკენ სავალი გზაც. ბევრი გამოსაცდელი ვადის შემდეგ მონასტერში აღარ ბრუნდებოდა, განდეგილობას ირჩევდა და სიცოცხლის ბოლომდე თავის სენაკში რჩებოდა.

ასე იზრდებოდა მეუდაბნოე ბერთა რიცხვი. ამის გამო ***ლუკიანემ*** კიდევ ერთი სამონასტრო განშტოება, ***ნათლისმცემელი,*** გააშენა გარეჯის უდაბნოში.

რამდენიმე ხნის შემდეგ დავით გარეჯელმა წმიდა ადგილთა მოსალოცად წასვლა გადაწყვიტა. მან ლუკიანე მოიხმო და მისი წასვლის შემდეგ სამწყსოზე ზრუნვა დაავალა. მამა დავითმა კეთილ სარბიელზე მხნედ ყოფნისათვის



იერუსალიმი, მადლობის შემწირველმა ჯერ ხელნი ზეცად აღაპყრო, შემდეგ კი ქვითინით მიწაზე დავარდა. წმიდა მამამ თავი წმინდა ქალაქში შესვლის ღირსად არ მიიჩნია და სანამ მისი მხლებლები იერუსალიმის სიწმინდეებს მოილოცავდნენ, ქალაქის კარიბჭესთან მხურვალედ ლოცულობდა. წმიდანმა მადლის ქედიდან დიდი რწმენით სამი ქვა წამოიღო.

იმ ღამით ***იერუსალიმის პატრიარქ ილიას*** უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „მოიწია ვიდრე სახლად ჩემამდე საკუთარი მონა ჩემი დავით და სარწმუნოებითა მისითა წარიღო სრულიად მადლი იერუსალიმისა". ილიამ მალემსრბოლი დაადევნა წმინდა დავითს და მათი პირით ამცნო უფლის ნება - ერთი ქვა წაეღო, ორი კი დაებრუნებინა, რათა სრულად არ მოჰკლებოდა მადლი ქრისტეს ქალაქს.

მამა დავითმა მართლაც დაუბრუნა იერუსალიმს ორი ქვა, ხოლო მესამე გარეჯში დაბრუნებულმა ეკლესიაში დაასვენა. სიწმინდის თაყვანსაცემად უდაბნოში უამრავი ხალხი მიდიოდა. ღვთის ნებით ქვა სასწაულმოქმედი ძალით აღივსო - მისი შეხება უკურნებელი სენისაგან არჩენდა მლოცველებს. მადლის ის ქვა, რომელიც მამა დავითმა გარეჯის უდაბნოში მოიტანა, დღესაც კურნავს სარწმუნოებით მვედრებელთ. მას შემდეგ, რაც წმიდანმა უდაბნოში მადლის ქვა ჩამოიტანა, საძმო რიცხვობრივად გაიზარდა.

ნუგეშისცემისა და გამხნევების მიზნით მამა დავითი დრო და დრო განმარტოებულ სენაკებში მცხოვრებ ბერებსაც მოინახულებდა ხოლმე. ერთ-ერთი მათგანის სენაკში მწარე წყალი მოწვეთავდა. ამ წყლით მორწყული ფხალიც საჭმელად თითქმის უვარგისი იყო. იქ მყოფი ბერი თავს იმით ინუგეშებდა, რომ სამაგიეროდ საუკუნო სატანჯველს აიცილებდა თავიდან. ერთ დღეს მასთან წმიდანს ბერი თავის გასაჭირს მოუყვა. დიდად გამხიარულდა მამა დავითი ბერის სიმშვიდითა და მორჩილებით და მისმა შემწყალებელმა უფლისადმი ლოცვით წყალი დაატკბო, ფხალიც გემრიელი საჭმელი გახდა.

მამა დავითის საფლავი გარეჯის ლავრაში

გავიდა რამდენიმე ხანი. ღირსსა და სანატრელ დავითს უფლის მიერ ეუწყა, რომ მალე ზეციურ სავანეში განისვენებდა. კეთილმა მწყემსმა მოიხმო უდაბნოში მცხოვრები ძმები და უკანასკნელად დამოძღვრა ისინი: „ნუ შეძრწუნდებით და ნუცა აღშფოთდებით, არამედ უფროსღა განმტკიცდით და განმძლავრდით და სცანით ამაოება ესე საწუთოსა დაუდგრომლისა, რამეთუ ყოველნივე წარმავალ ვართ წერილისაებრ და არა რა სოფლისა პირს მდგომად შერაცხილთაგანი დადგრების, ხოლო სული ვითარ უკვდავისა მიმღებელი, ღვთისაგან საუკუნოდ დაადგრების და გუეგულვების მიღება კეთილთა გინა ბოროტთა, რომელიც ასევე ვიმოქმედეთ ცხოვრებასა ამას შინა".

იგი ეზიარა უფლის წმინდა ხორცსა და პატიოსან სისხლს, ღვთის მიმართ ხელნი აღაპყრო და მადლობის შემწირველმა დაუტევა მრავალმოღვაწე გვამი.

გარდაცვლილი წმიდანის სხეულიდან მადლი გამოკრთოდა. მათ შორის, ვინც ცხედარს ემთხვია, ერთი დაბადებიდან ბრმა იყო. უფალმა იესო ქრისტემ სიკვდილის შემდეგაც ადიდა მისი მსახური. წმინდანის გვამმა ბრმას თვალის ჩინი დაუბრუნა.

წმინდა დავით გარეჯელი მოწაფეებმა იმავე სენაკში დაკრძალეს, სადაც მრავალი წელი გაატარა. მის საფლავზე დიდხანს იდო იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა და სასწაულთმოქმედი მადლით კურნავდა რწმენით მიახლებულთ.

ვინც ღირსი და საკვირველმოქმედი მამა დავით გარეჯელის საფლავს სარწმუნოებით თაყვანს სცემს, დღესაც იკურნება სულიერი და ხორციელი ტკივილებისაგან.

# მართლმადიდებლობა

## 20 ივნისი –წმინდა დავით გარეჯელის ხსენების დღეა!

## ღირსი მამა დავით გარეჯელი (VI)

**ამაღლების შემდგომი ხუთშაბათი**

### სატორგე

**დავით** გარეჯას სატორგეს კომპლექსი მდებარეობს კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, მდინარე იორის მარჯვენა ნაპირას, დალის წყალსაცავის მიმდებარედ. ყაჯირის მთის ქედზე, კლდეშია გამოკვეთილი. სიგრძეში დაახლოებით 10-იოდე კილომეტრზეა გაშლილი.

სატორგეს კომპლექსი დავით გარეჯას დღემდე დაფიქსირებულ მონასტრებთან შედარებით უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. ყაჯირის მთა ყველაზე მაღალ წერტილს წარმოადგენს და ერთ-ერთ ქედზე დაფიქსირებულია კოშკის ნაშთი, დიდად სავარაუდოა, რომ სატორგეს კომპლექსი, ისტორიის გარკვეულ ეპიზოდში სამხედრო-სტრატეგიულ ან საერო ფუნქციასაც ასრულებდა.

სატორგეს აქამდე ცნობილი კომპლექსების მონახულების მიზნით,2020 წლის 9 თებერვალს ა(ა)იპ "კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის" მიერ განხორციელდა მცირე ექსპედიცია,რა დროსაც ცენტრის ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონიტორინგის პროგრამების ხელმძღვანელმა ანზორ მჭედლიშვილმა, ფოტო გადაღებისას დააფიქსირა კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ტაძარი.

სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ სატორგეს კომპლექსის ეს გუმბათიანი ტაძარი უცნობი იყო, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე სპეციალისტებს შორის.

2021 წლის 25 აპრილს განხორციელდა მორიგი ექსპედიცია, ამჯერად შესაბამისი სამთო-ალპინისტური აღჭურვილობით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ვასილ ჭიჭაღუამ, საკმაოდ რთული რელიეფის მიუხედავად, მოახერხა აღნიშნულ ტაძარში შესვლა. ***კლდეში ნაკვეთი ტაძარი უნიკალურია მისი მოყვანილობით და მხატვრული გაფორმებით. ტაძარს ოთხკუთხა ფორმა აქვს და სამხრეთით, კლდეში გაჭრილი კარით უკავშირდებოდა დანარჩენ ქვაბულებს. დღეისათვის გარეგანი დაკვირვებით, ამჟამად ზემოხსენებული კარიც ამოქოლილია ნაშალი მასალით და გვერდით ნაგებობებში გასვლა შეუძლებელია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვერდით ნაგებობების კვალი დაფიქსირებულია ფოტოებზეც, თუმცა ისინიც სრულად ამოვსებულია ნაშალი მასალით ან დიდწილად ჩამონგრეულია. ამჟამად ტაძრის აღმოსავლეთის მხარე ჩამონგრეულია და საკურთხევლის ფორმის აღდგენა შეუძლებელია. ტაძრის შიგნით ნალესობის, კედლის მხატვრობის, წარწერების ან სხვა სახის კვალი არ შეიმჩნევა. კედლები თანაბარი სიგრძისაა, დაახლოებით 4-5 მეტრის. თითოეული კედელი ორსაფეხურიანი დეკორატიული თაღითაა მოჩარჩოებული.***

***დარბაზი დასრულებულია კონუსისებრი გუმბათით, რომელიც სამსაფეხურიან გუმბათის ყელშია ჩასმული. გუმბათის პირველი საფეხური ვიწრო და სადაა. მსგავსი ანალოგი, დღემდე ცნობილ კლდეში ნაკვეთ ტაძრებში არ მოიძებნება, შესაბამისად სატორგეს კომპლექსის ეს ახლად გამოვლენილი გუმბათიანი ტაძარი უნიკალურ ძეგლად რჩება.***

კვლევის საგანს აგრეთვე წარმოადგენს ზემოთხსენებული ნახევარსფეროების მნიშვნელობა და რაოდენობა, თუ რა სიმბოლური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეთ მათ. რაც შეეხება ძეგლის დათარიღებას, ზუსტი ანალოგებისა და საისტორიო წყაროების არ არსებობის გამო, წინასწარი ვარაუდით, შეიძლება დათარიღდეს IX-X საუკუნეებით. თარიღის დაზუსტებისათვის საჭიროა ძეგლის სიღრმისეული და კომპლექსური კვლევა.

ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. გუმბათზე და ტაძრის ჭერზე შეიმჩნევა ფართო ბზარები. კლდე, რომელშიც ნაკვეთია ტაძარი, საკმაოდ მარტივად იშლება. არსებული გეოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე არსებობს დიდი რისკი, რომ ტაძარი სრულად ჩამოიშალოს.

### დოდოს რქა, დოდორქა

***— მონასტერი ძველ საქართველოში; ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში. VI საუკუნის I ნახევარში დააარსა დავით გარეჯელის ერთ-ერთმა მოწაფემ დოდომ.***

**შედგება** სხვადასხვა დროის (VI - XVIII სს. ჩათვლით) გამოქვაბული კომპლექსებისაგან. მთავარი დარბაზული ეკლესია და სატრაპეზო გარეჯის საერთო აღმავლობის პერიოდს - XI-XIII საუკუნეებს განეკუთვნება. განსაკუთრებით საყურადღებოა კლდეში გამოკვეთილი წმ. დოდოს მცირე ეკლესია, რომლისაგანც შემორჩენილია საკურთხევლის აფსიდის კონქი, კლდეში გამოკვეთილი უყელო გუმბათი, ჩრდილოეთი კედელი და დასავლეთი ნართექსის კედლის ნაწილი. კონქში შემონახულია მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი (VIII-IX სს.) და მნიშვნელოვანი ნიმუში საქართველოში. მოხატულობის მთავარი ფიგურაა ტახტზე მჯდომი ქრისტე მაკურთხებელი მარჯვენით. მარცხენა ხელში უჭირავს გადაშლილი წიგნი, რომელზედაც ქართული წარწერის კვალია შერჩენილი. მაცხოვრის ორსავე მხარეს თითო მედალიონია მოთავსებული. ერთში გამოსახულია ქალის ფიგურა მკერდამდე, მთვარის ქიმით თავს ზემოთ, მეორეში (ასევე მკერდამდე) - ფრიგიულ თავსაბურავიანი ჭაბუკი აგიზგიზებული ჩირაღდნით მარჯვენა ხელში. როგორც ჩანს,პირველი ფიგურა მთვარეს განასახიერებდა,მეორე - მზეს. ამგვარი გამოსახულებანი ადრინდელი ქრისტიანულ სარკოფაგებში გვხვდება. ქრისტეს ქვემოთ გამოსახულნი არიან მთავარანგელოზები მიქელი და გაბრიელი, აგრეთვე ტეტრამორფი (ოთხი მახარებლის სიმბოლური გამოსახულება) და ქერუბინი (ექვსფრთიანი ანგელოზი). დოდოს რქის მონასტრის პოლიტიკური-ეკონომიკური ისტორია დაკავშირებულია დავითგარეჯის მონასტრის ისტორიასთან. XII-XV საუკუნეებში დოდოს რქა სამეფო მონასტერი იყო. 1424 წელს ალექსანდრე I-მა დავით გარეჯთან ერთად შესწირა მცხეთის საკათალიკოსო სვეტიცხოვლის ეკლესიას. XIII-XVIII საუკუნეებში გარეშე მტრების (მონღოლების, თემურლენგის, თურქების, ირანელებისა და ლეკების) შემოსევისა და ბატონობის შედეგად დაქვეითდა, ბევრჯერ დაცარიელდა. დოდოს რქის მონასტერი ეპარქიალურად რუსთავის საეპისკოპოსოში შედიოდა. XV-XVII საუკუნეებში კათოლიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა, შემდეგ 1760 წლამდე — ნინოწმინდელ ეპისკოპოსს. 1760 წელს დავით გარეჯს შეუერთდეს. გასული საუკუნის მიწურულს გაუკაცრიელდა.

დოდოს რქასთან მისვლა შესაძლებელია ორი გზით - ერთი ზემოდან მანქანა მიდის მთის ძირამდე - მაგრამ მერე ძნელი გადასასვლელია უშუალოდ დოდოს ხევის სენაკებში - სადაც უნიკალური ფრესკებია; და მეორე ფერმიდან - ანუ ქვემოდან - იქაც მთაა გადასასვლელი....დოდოს რქაზე ამ ნაგებობას სავარაუდოდ თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა...

ის პირდაპირ უყურებს ჩიჩხიტურს.. მის ქვემოთ სენაკები და გამოქვაბულები იყო. 300-400 მეტრის დაშორებით დასავლეთის მიმართულებით არის დიდი დარბაზი და საკურთხეველი - სადაც ფრესკების შემორჩენილი. იქით მიმავალი გზა სულ უფრო და უფრო ციცაბო ხდება...ფაქტიურად კლდის ძირში - ფერდობზეა სამოძრაო. გზად შეგხვდებათ კლდეზე გამოქვაბულები და ეკლესიები.

ბოლოს მიადგებით კლდეში ნაკვეთ პატარა სალოცავს. სადაც, მართალია ძალიან ცუდ მდგომარეობაში, მაგრამ მაინც, შემორჩენილია ფრესკები. იქვე ორ ნაბიჯში არის კიდევ ერთი გამოქვაბული, ჩასასვლელი ქვევით, საიდანაც უცებ აღმოჩნდებით დიდ ეკლესიაში.

## გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი



**გარეჯის** ნათლისმცემლის მონასტერი ქვემო ქართლის მხარეში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, საგარეჯოს საზღვართან. იგი დავით გარეჯის კომპლექსის ერთ-ერთი მონასტერია, რომელიც VI-VII საუკუნეებში დავით გარეჯელის მოწაფემ – ***ლუკიანემ*** დააარსა: „ბრძანებითავე მამისა დავითისითა აღეშენა უდაბნო მრავალმთისა სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლის-მცემლისასა" (დავით გარეჯელის ცხოვრება). 1698 წლის 18 მარტს, ნათლისმცემლის მონასტერში აღკვეცილა ბერად ***სულხან-საბა ორბელიანი:*** "ამის შემდგომად მონაზონ იქმნა და გარესჯის მრავალ მთის წმიდის ნათლის მცემლის მონასტერს დაადგრა, ქორანიკონს ჩჲჟ ,მარტს ი მონაზონ იქმნა". განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მონასტრის მთავარ ეკლესიაში შემორჩენილი ქართველ სამეფო პირთა ფრესკები, აქ გამოსახულნი არიან: ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი (ფრესკა ამჟამად სრულიად განადგურებულია), დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა-გიორგი, დავით სოსლანი. ბაგრატ III-ის ფრესკას შემორჩენილი აქვს წარწერა: "პირველი მაშენებელი ამის უდაბნოისაი". დავით აღმაშენებლის ფრესკას შემორჩენილი ჰქონდა წარწერა (განადგურებულია): "მამაი დემეტრე მეფისაი". დემეტრე I-ის ფრესკას შემორჩენილი აქვს წარწერის ფრაგმენტი: "მეფეთამეფე". გიორგი III-ის ფრესკას ახლავს ფრაგმენტულად გადარჩენილი წარწერა: "მეფეთამეფე გიორგი ძე დემეტრესი". თამარ მეფის, ლაშა-გიორგისა და დავით სოსლანის ფრესკებს ახლდა წარწერები (განადგურებულია): "მეფეთა მეფე თამარ ასული დიდისა მეფეთა მეფისა გიორგისა","ძე მათი ლაშა","მეფეთა მეფე დავით". საყურადღებოა ასევე კომპლექსის ერთ-ერთ ეკლესიაში შემორჩენილი ოსტატის ფრესკული გამოსახულება, რომელსაც ხელში წერაქვი უჭირავს, საქართველოში ხშირად გვხვდება ოსტატთა მომცრო ზომის რელიეფები, თუმცა ფრესკებზე მათი გამოსახვა გავრცელებული არ არის.

მონასტერი გამოკვეთილია ზღვიური წარმოშობის ქვიშაქვებისაგან შედგენილი კლდის მასივში. კომპლექსი მოიცავს ეკლესიებს, საცხოვრის სამეურნეო ქვაბულებს და ქვიტკირით ნაგებ სამეურნეო და საფორთიფიკაციო დანიშნულების სისტემას. კლდის თავზე, მონასტრის მაღლა კოშკი დგას, სამხრეთ-დასავლეთით კომპლექსს კონტრფორსებით გამაგრებული კოშკებიანი გალავანი გასდევს, რომელიც დაზიანებული სახითაა შემორჩენილი. ქვაბულები სხვადასხვა პერიოდშია გამოკვეთილი. ძეგლზე გამოიყოფა გვიან ფეოდალური და უახლესი პერიოდის (XIX ს) ფენები, ამ დროს გამოქვაბულების გადაკეთება ხდება და შემოდის აღმოსავლური მოტივები. მონასტერში ეფექტურადაა გადაჭრილი წყლის მომარაგების საკითხი, კლდის მასივში გამოკვეთილია წყალსაცავებისა და წყალმიმღები ღარების სისტემები. გარეჯის ნათლისმცემლის კომპლექსის რამდენიმე ეკლესიაში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კომპლექსის ცენტრში მდებარე, ვრცელი და მაღალი, მთავარი ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთით მცირე სათავსი ეკვრის. ინტერიერში შემორჩენილია XII ს-ის I ნახევრის ფრესკები. მოხატულობაში დომინირებს ლურჯის ნათელი ტონალობები. ფრესკები ძალიან დაზიანებულია, გაირჩევა სცენათა ფრაგმენტები და წმინდანთა და საერო პირთა გამოსახულებები, ასევე ფრაგმენტულად. აღსანიშნავია კიდევ ერთი ეკლესიის მოხატულობა (დარბაზი 13), სადაც ფრაგმენტულად შემორჩენილია ღვთისმშობელი ანგელოზებთან ერთად და ჭერზე გამოსახული ჯვრის დიდება (XIII ს). გარეჯის ფერწერული სკოლა ძალიან მრავალფეროვანია, მათ შორის ნათლისმცემლის მონასტრის მოხატულობაც ერთ-ერთი გამორჩეული და ძალიან შთამბეჭდავია. გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში აღმოჩენილია სტელა (ამჟამად ინახება ეროვნულ მუზეუმში), წმ. ევსტათისა და ირმის რელიეფითა და ასომთავრული წარწერით. ნათლისმცემლის მონასტრის სტელა საქართველოში ერთ-ერთ გამორჩეულად დახვეწილ და მაღალმხატვრულ ქვასვეტად მიიჩნევა. 1980-იან წლებში ნათლისმცემელში ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები, რომლის დროსაც გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის მასალა, მოჭიქული, თიხის, ფაიანსისა და მინის ჭურჭელი, თამარ მეფის მონეტა, ქართული და იმპორტული კერამიკა, ლითონის ნივთები, სამკაული და სხვა.



# ჩვენი თანამემამულე

## „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები!..“

## ერის რჩეული, სახალხო პოეტი

## „მე ვხედავ მზეს...“

**დასასრული**



გიორგი ლეონიძისა და ანა კალანდაძის სახელობის ლიტერატურული პრემიები. რომან ზუკაკიშვილი „საპატიო გარეჯელის წოდების“ მფლობელია. იგი გახლავთ საქართველოს სამეცნიერო აკადემია „ფაზისის“ აკადემიკოსი, 17 პოეტური კრებულის, ერთი მიუზიკლისა და ასამდე საესტრადო სიმღერის ტექსტის ავტორი. ის ასევე გახლავთ საქართველოს პედაგოგთა პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. მისი ლექსების ნაწილი თარგმნილია გერმანულ და რუსულ ენებზე. იგი არის „ირლანდიური პოეზიის ანთოლოგიის“ ერთ-ერთი მთარგმნელი. ჟურნალ “ამერ-იმერის”თანარედაქტორი.

* * *

**გასული** წლის დეკემბერში საგარეჯოს რაიონული ბიბლიოთეკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“ (კონკურსის ხელმძღვანელი **ვერიკო კერატიშვილი**). პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეების **ნინო უსტიაშვილის,ქეთევან გიუნაშვილის, ლიკა მეხაშიშვილის** (თემის ხელმძღვანელები **ნანა ნარიმანიშვილი, თინა ბუჩაშვილი**) მიერ წარმოდგენილმა თემამ ჟიურის პრიზი დაიმსახურა.გთავაზობთ ამ ნაშრომს.

**სტუმრად პოეტ რომან ზუკაკიშვილთან**

**სოფელ** პატარძეულს არაერთი სასიქადულო შვილი გაუზრდია,რომელიც ჩვენთვის, თანამედროვე ახალგაზრდებისათვის მისაბაძი და დასაფასებელია. ჩვენ გადავწყვიტეთ კიდევ უფრო ახლოს გაგვეცნოთ კიდევ ერთი ასეთი პატარძეულელი, ბატონი **რომან ზუკაკიშვილი**. ვფიქრობთ, ყველა უნდა იცნობდეს მის მდიდარ შემოქმედებას. სწორედ ამიტომ ინტერვიუსთვის ვეწვიეთ და საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ ჩვენი საამაყო თანასოფლელისგან.

***– ვინ არის რომან ზუკაკიშვილი?***

– რომან ზუკაკიშვილი არის კაცი, პატარძეულელი ქართველი, ქრისტიანი პირველ რიგში და მოყვარე თავისი ერისა და მერე რომან ზუკაკიშვილი არის პოეტი, რაც ძალიან ბევრ კრიტიკოსსა და მწერალს უთქვამს. იმიტომ,რომ საკუთარ თავზე ლაპარაკი „მწვანე კიტრის“ ფასადაც არ ღირს. თავი არ უნდა შეიქო, სხვებმა უნდა ილაპარაკონ შენზე და დაგაფასონ მათ. საბოლოოდ მე გახლავართ პოეტი რომან ზუკაკიშვილი

***– რას ნიშნავს თქვენთვის, იყო გიორგი ლეონიძის თანასოფლელი?***

– რა თქმა უნდა, გიორგი ლეონიძე იყო და არის (წარსულში არასოდეს არ მოვიხსენიებ დიდ ადამიანებს) დიდი ქართველი პოეტი.ამიტომ მის თანასოფლელად ყოფნა,თუნდაც პოეტი არ ვიყო,ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქე ვიყო,ეს არის უდიდესი სიამაყე ჩემთვის და პასუხისმგებლობა – ესეთი დიდი პოეტის გვერდით. მით უმეტეს, მე ეხლა ვარ გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის პრემიის ლაურეატი. ეს იმას მავალებს, რომ ვიყო პოეტი, ნამდვილი პოეტი. ის კი არა, ეხლა ბევრი რაღაცას წერს, ვინ არ წერს, მაგრამ უნდა იყო პოეტი, შთაგონებული და ღმერთთან მართალი. უნდა იყო შენს მკითხველთან მართალი, რასაც წერ, ის უნდა იყოს გულწრფელი. ასეთი იყო გოგლა და მის თანასოფლელად ყოფნა ჩემთვის არის დიდი ბედნიერება.

***– შეგიძლიათ მოგვიყვეთ, თქვენი პროფესიის შესახებ, რატომ გადაწყვიტეთ პოეტობა?***

– საერთოდ, მე პროფესიით ფილოლოგი ვარ. პოეტობა პროფესია არ არის. ზოგიერთები ასე უდგებიან ამ საქმიანობას და ძალიან შეცდომით. პოეტობა, ეს არის ღვთიური ნიჭი,რაც მარგო უფალმა. რომც არ მდომებოდა, მაინც პოეტი გამოვიდოდი, იმიტომ, რომ როცა გაწუხებს მუზა, აუცილებელია გადმოსცე ის. ხანდახან მეტყვიან, როგორ მოდის მუზაო. შეიძლება თვეში ლექსი ვერ დავწერო, მაგრამ კვირაში 7 ლექსი დავწერო. აი, ის მუზა მოდის და მკარნახობს, თუ რა უნდა დავწერო. ასე, რომ პოეტობა ჩემთვის არის ძალიან დიდი შთაგონება და საღვთო ნიჭი.

***– რა ასაკიდან დაიწყეთ ლექსების წერა. თუ წერდით ბავშვობაში?***

– ლექსების წერა დაახლოებით დავიწყე 7-8 წლიდან. ეხლა ამას ვერ ვიტყოდი., რომ სულ მომწონდა მაშინდელი ლექსები. ძალიან ბევრი ლექსი გავანადგურე და ეხლა ვნანობ. ის იყო ბავშვის მიერ დაწერილი და ის უნდა შემომენახა ჩემს ისტორიაში,მაგრამ ძალიან ბევრი სუსტი იყო და ძალიან ბევრი კარგიც. მაგრამ ამ შეკითხვაზე გიპასუხებთ,რომ ეს იყო 7-8 წლიდან, როცა პირველად მეწვია მუზა. მუზის მოსვლა რომ ვიგრძენი, მაშინ დავწერე ლექსი.

***– ერთ-ერთი საყვარელი ლექსის შექმნის ისტორია რომ გვიამბოთ...***

– ბევრი ლექსის შექმნის ისტორიას მოგიყვებოდით, მაგრამ ერთ-ერთი, რაც ინტერნეტ სივრცესა და გაზეთებშიც დაიწერა,ეს იყო ლექსი „ფუძის ანგელოზი“. ეს ნამდვილი ამბავი იყო. გაგიკვირდებათ და მეზობელზეა, რომელიც ქალაქში იყო გადახვეწილი და შემდეგ მშობლიურ კერას დაუბრუნდა და სახლის აშენება გადაწყვიტა. მას მეც გვერდით ვედექი. როდესაც სახლს ვაშენებდით, მოფრინდა ჩიტი, რომელიც ხან თავზე გვაჯდებოდა, ხან ნიჩბის იმ ტარს, რომლითაც ბეტონს ვურევდით. როდესაც სუფრა გავშალეთ, სუფრაზეც მოფრინდა დასკუპდა ღვინის დოქზე. მაშინ ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს იყო ფუძის ანგელოზი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს დანგრეული კერა ისევ აყვავდებოდა. შემდეგ, როდესაც განვაგრძეთ მუშაობა, ერთ-ერთმა მუშამ ხელის გულზე დაიყარა საკენკი და ჩიტმა ხელის გულიდან აკენკა მარცვლები და მთელი ის დღე და მეორე დღესაც, სანამ არ დავასრულეთ მუშაობა, ეს ჩიტი არ მოგვშორებია. როცა დავასრულეთ სახლზე მუშაობა, ჩიტი გაფრინდა და აღარ მობუნებულა,ფუძის ანგელოზი მოვიდა და ჩვენი სიხარული გაიზიარა ჩვენთან ერთად. წავედი სახლში და ზუსტად 15 წუთი მოვანდომე ლექსის, „ფუძის ანგელოზის“ შექმნას.

***– რა შთაგაგონებთ ლექსის შექმნას?***

– ლექსის შექმნას თავდაპირველად შთამაგონებს ღმერთი, შემდეგ ჩემი სამშობლო. ლექსის დაწერა მხოლოდ დიდი გაჭირვების, ან დიდი სიხარულის საშუალებით შეიძლება.

***– გქონიათ თუ არა მწერლობის გარდა სხვა გატაცება და რომელი საგანი გიყვარდათ ყველაზე მეტად?***

– რა თქმა უნდა. მწერლობის გარდა მქონია სხვა გატაცებაც. მაგალითად, ახალგაზრდობაში ძალიან მიყვარდა ფეხბურთი. დილით ადრე გავიღვიძებდი დიდი სიხარულით, მაშინ, როცა ფეხბურთი უნდა ყოფილიყო. ასევე, ბავშვობაში მომწონდა ხატვაც. ბავშვობაში დახატული ნახატი, ჩემს ოთახში მქონდა გამოკრული. სკოლაში სწავლისას პირველ რიგში მიყვარდა ქართული ლიტერატურა და ისტორია, მომწონდა გეოგრაფია.

# კვალი ნათელი

## იმ ბრძელ და ნათელ ქვეყანაში



**შემთხვევითობა** არ არსებობს, ყველაფერი უფლის ნებით ხდება... დიახ, უფლის ნებით, ხელში ის პატარა ბლოკნოტი ჩამივარდა, რომლის ავტორი წლების განმავლობაში რუდუნებით, ფაქიზად აგროვებდა თავის ნაფიქრალს და ამ პაწია ბლოკნოტს ანდობდა ფიქრებს, ოცნებებს, სურვილებს, განცდებს... ბლოკნოტს „გულის სარკე“ აწერია სახელწოდებად, იმ ლექსების კრებულის სახელდებად,რომელიც 1938 წლიდან ივსებოდა და წარმოიდგინეთ, იმ წლებში, როცა ყველაზე დიდი გაჭირვება იყო საქართველოში, იგი გვამოგზაურებს ბაქოში, მოსკოვში – თანაც მატარებლით, მასთან ერთად ჩვენც დავდივართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ჩვენც ვტკბებით ამ მოგზაურობით. რა სიყვარულით და სითბოთი აღწერს საგარეჯოდან თბილისისკენ მგზავრობას და ნუ დავივიწყებთ, რომ 1938 წელს სულ 23 წელიწადია გასული თბილისიდან კახეთისკენ გაჭრილი რკინიგზის ფუნქციონირებიდან. ვათვალიერებთ სამგორის ახალ დასახლებას... კაფანდარა, სტუდენტ გოგონასთან ერთად დავდივართ თბილისის ქუჩებში, უფრო ხშირად,მელიქიშვილის ქუჩაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სტუდენტთა გზა-სავალია დღესაც.

კვლავ ამ ქუჩაზე მივდივარ მარტო,
ნიავი მაყრის სახეზე ფიფქებს.
ჩამოიქროლებს რამდენი ავტო,
მაგრამ ვერ მიფრთხობს ის შენზე ფიქრებს.
მოვდივარ წყნარად, თან ვთხზავ სტრიქონებს,
ძველი გრძნობებით ვალაგებ რითმებს,
მსურს დავიწყება, მაგრამ გიგონებ, ასეთ განაჩენს გულივერ ითმენს.

***1938 წ. 21 დეკემბერი***

* * *

**მელიქიშვილის ქუჩა**

ოხ,ეს ქუჩა რა გრძელია,
ეს მიდამო რა ვრცელია,
თუ არავინ დაგვრჩენია,
მარტოობა რა ძნელია!
1938წ, თებერვალი.



და ეს ლექსები იმ სუსტი აგებულების გოგონას ეკუთვნის,რომელიც სოფელ საგარეჯოში 1913 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა. 1934 წელს დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა და 1936-1941 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო – **ნინო რევაზიშვილი-ბუზიაშვილი.**

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1941 წლის ივნისში, ომის დაწყების პირველ თვეს მუშაობას რადისტად იწყებს (მორზეს ანბანით გადასცემდა მოსკოვს ცნობებს) თბილისში. შემდეგ დაბრუნდა საგარეჯოში და ათეული წლების განმავლობაში საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლაში იყო სასწავლო ნაწილის გამგე და ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი. ოჯახი ქიტა (ილო) ბუზიაშვილთან შექმნა და ორი ქალიშვილი დალი და ეკა შეეძინათ. მეუღლე საგარეჯოს კულტურის სახლის დირექტორი და საგარეჯოში თოჯინების თეატრის დამაარსებელი იყო. ეკამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი 1973 წელს დაამთავრა. სიცოცხლის ბოლო წლებში ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორი იყო... ეკამ – უფროსმა ქალიშვილმა კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინრის კვალიფიკაციით...

წლები წლებს მიჰყვა... ნინო მასწავლებლის მიერ ჩატარებული ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს ხშირად მოსწავლეები გაკვეთილის დამთავრების შემდეგაც აანალიზებდნენ: რამდენი ქართული სიტყვა ახსნა, რომელსაც ადრე ყურადღებას არ აქცევდნენ მოსწავლეები, ხმის როგორი ტემბრით წაუკითხავთ ლექსები,როგორ სხვანაირი, დაკვირვებული ხედვით დაანახათ ესა თუ ის პოეტი, მწერალი...

და აი, ერთხელ მეშვიდე კლასში ჩვენთან ერთადერთი გაკვეთილი ჩაატარა, რომელსაც ვერ ვივიწყებთ... დაფაზე გვიწერს სიტყვას – გა-ფით-რე-ბუ-ლი და გვეკითხება,მომიძებნეთ მისი სინონიმი... სინონიმის მოძებნას რაღა უნდოდა?! – გადათეთრებული, გათეთრებული – ვპასუხობთ ადვილად მოძებნილი სინონიმით გახარებულები. და კითხვა: – რა არის ფითრი?! სოფელში გაზრდილები ვპასუხობთ – ხეზე გამოსული პარაზიტი არსება,რომელიც იკვებება ცოცხალი ორგანიზმიდან... მაშინ კი არა, შეიძლება ახლაც ბევრი არც კი ჩაუფიქრდეს ამ ქართული სიტყვის სილამაზეს, რომელიც ზუსტად ასახავს ადამიანის მდგომარეობას...

და რაც მთავარია,თითქმის ყველას გამოგვყვა ჩვევად იმ ერთი გაკვეთილიდან ჩაძიება-ჩაკირკიტება ყოველი ქართული სიტყვის, მისი სილამაზის დანახვის უნარი...

სკოლიდან დამსახურებულ პენსიაზე მყოფი ხშირად გვსტუმრობდა გაზეთ „ივრის განთიადის“ რედაქციას, მოჰქონდა თავისი ლექსები, ნაფიქრ-ნააზრევი. ლექსებთან ერთად გვიჩვენებდა თავისი ხელით, ყაისნაღით მოქსოვილ საყელოებს, რომლებიც მაშინ ძალიან შვენოდა სასკოლო ფორმას, გვაჩვენებდა მაგიდის გადასაფარებლების ლამაზად ამოქარგულ კუთხეებს, მოგვეფერებოდა და ღიმილით გაიხურავდა რედაქციის კარებს...

ასეთების – ნამდვილი პედაგოგების, ღირსეული ადამიანების მიერ დამოძღვრილები დადიან დღეს საგარეჯოს ქუჩებში მისი ნამოწაფრები, რომლებიც თავიანთი ქართული ენის, თითოეული ქართული სიტყვის მიმართ სიყვარულს და თითოეული სიტყვის სიდიადეს უნერგავენ მომავალ თაობებს.

ნინო მასწავლებელი და იმქვეყნიურ საუფლოში მყოფი თაობა მართლაც ვალმოხდილია თავისი პროფესიისა და ქართველობის წინაშე –მათ მიერ დათესილი ცოდნა და საქართველოს სიყვარული უფრო გაღრმავდა და გავრცელდა თაობიდან თაობებში.

***გთავაზობთ ნინო მასწავლებლის მრავალთაგან ერთ-ერთ ლექსს:***

**საღამო მესტიაში**

თეთნულდს დააწვა შავი ღრუბლები,
ბოლომდე შთანთქა მისი ჭაღარა,
მე ენგურის წყალს ვესაუბრები,
მან კი შხეფები შემომაყარა.
ტყიდან ფოთლების შრიალი მესმის:
მესტიის მთებზე შემოღამება,
ამ მთის მწვერვალებს შევყურებ დიდხანს
და მათ მზერაში თვალიამება?
ვდგევარ უძრავად, წასვლა არ მინდა,
დაღამებასაც თითქოს ვემდური,
გადმოვარდნილ იმთების მარნიდან
ფეხში ბორკილებს მიყრის ენგური.

***მესტია,*** 1939წ,13/VIII.

# სასკოლო ცხოვრება

## ქართული, როგორც მეორე მშობლიური ენა

## „მთავარი მოსწავლის დაინტერესებაა“



***საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანელებით დასახლებული თემების მოსახლეობისათვის ქართული, სახელმწიფო ენის დასაუფლებლად და უკეთ შესასწავლად ოთხივე თემის სოფლების სკოლებში აზერბაიჯანულ სექტორთან ერთად ფუნქციონირებს ქართული სექტორი, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. ქართულ ენასა და ლიტერატურას ეროვნებით ქართველი პედაგოგები ასწავლიან, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ აზერბაიჯანელი მოსწავლეების, მათი ოჯახების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებასთან, გარდა ჩასატარებელი საგანაკვეთო საათებისა, პედაგოგები ცდილობენ სხვადასხვა აქტივობებით, მოსწავლეებში ქართული ენის შესწავლის გაადვილებასა და ინტერესის გაზრდას.*

*სოციალურ ქსელში ხშირად ქვეყნდება სასიამოვნო ინფორმაციები ამ მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებზე, რომლის ინიციატორიც სხვა პედაგოგებთან ერთად, ხშირ შემთხვევაში იორმუღანლოს საჯარო სკოლის (დირექტორი **რიზვან უსუფოვი**) დაწყებითი განათლების საფეხურის კათედრის ხელმძღვანელი **ლალი ვაჭრიშვილიცაა**.*

***დღეს სწორედ ქალბატონი ლალი არის ჩვენი გაზეთის მკითხველის სტუმარი. მას ვთხოვეთ ჩვენთვის მოეთხრო თავის მიერ გავლილ სასკოლო ცხოვრებასა და იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მისი მოსწავლეები ხალისითა და დიდი ინტერესით აწყობენ სასწავლო წლის განმავლობაში.***

– დავიბადე საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელე, რომელიც 1974 წელს დავამთავრე. სწავლას ვერ შევეშვი და კვლავ სტუდენტობა...

1993 წელს დავამთავრე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი სპეციალობით – დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა.

პირველად სკოლაში მუშაობა დავიწყე 1985 წლიდან. ეს იყო საგარეჯოს რკინიგზის დასახლებაში არსებული ე.წ. №19-ე რვაწლიანი სკოლა ***რომელიც რკინიგზის სამმართველოს*** ექვემდებარებოდა და რამდენიმე წლის შემდეგ გადაეცა განათლების სამინისტროს.

ყველაზე მეტად დამამახსოვრდა და დღესაც მახსოვს ჩემი პირველი მოსწავლეების მოსიყვარულე თვალები და თბილი გული, როცა ვუთხარი მე თქვენი მეორე დედა ვარმეთქი, როგორ გაუხარდათ. ვერ დავივიწყებ და დღესაც ვინახავ წერილს, რომელიც მე-4 კლასის გამოსაშვებ ზეიმზე ჩემმა ნამოწაფარმა **მაიკო მეკოკიშვილმა** წაიკითხა და თან ტიროდა, დღესაც იმ წერილს უცრემლოდ ვერ ვკითხულობ.

1999 წელს ძალიან მძიმე ოპერაცია გავიკეთე.დამიჯერეთ, არც ერთი მკურნალობა, არ ჩამიტარებია, არ მიმიღია არც ერთი მედიკამენტი. დღესაც კარგად ვარ, დიახ, მე ჩემმა მოსწავლეებმა გადამარჩინეს, გაკვეთილზე რომ შევდიოდი, მათ დანახვაზე ყველაფერი მავიწყდებოდა და დღესაც ასე ვარ.მადლობა, ჩემო ძვირფასებო, ამისთვის თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ და შრომის ხალისი დამიბრუნეთ.

2007 წელს ჩვენი სკოლა,როგორც მცირეკონტიგენტიანი, დაიხურა, იმ დროს საქართველოში და საგარეჯოშიც შობადობა ძალიან მცირე იყო. ჩვენი მოსწავლეები ახლომდებარე ქალაქის IV საჯარო სკოლამ მიიღო. 2009 წელს განათლების განყოფილების გამგემ ბ-ნ გია დუჩიძემ ჩვენი მასწავლებლები სოფელ იორმუღანლოს აზერბაიჯანულ სკოლებში გაგვანაწილა. მადლობა მას ამ შემოთავაზებისათვის.

მე იმ წელს იორმუღანლოს საჯარო სკოლაში მესამე კლასები მქონდა.მახსოვს მათი დამოკიდებულება – თავიდან თითქოს ცოტა მკაცრი იყო,მაგრამ მალე „ყინული გადნა“ და ჩვენ დავმეგობრდით.

ვნახე, მათ უჭირდათ წერა და წაკითხულის გააზრება. სრულიად უფასოდ ვატარებდი დამატებით გაკვეთილებს. ისე კარგად დაიწყეს წერა, მეც ისე მიხარია, მათი ნაწერები თან მქონდა და თუკი ვინმე გზაში – მგზავრობის დროს მხვდებოდა, ყველას ვაჩვენებდი და მიხაროდა, მოსწავლეები ასეთი კარგები რომ მყავდნენ, რომ დაინტერესებული იყვნენ ქართული ენის შესწავლით. დღეს ჩემთვის აქ, იორმუღანლოს სკოლაში მერამდენე თაობაა, ამას ვერ გეტყვით, იმიტომ რომ მე სხვადასხვა კლასებს ვასწავლი.



მოგეხსენებათ,აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე, მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები თვითონ კარგად ვერ ფლობენ ქართულ ენას, ვერ ეხმარებიან ბავშვებს, ამიტომ ძირითადი წყაროს მათთვის ქართული ენის შესასწავლად ჩვენ ვართ – მასწავლებლები. მინდა გითხრათ, რომ მათ აქვთ ინტერესი, ბავშვებმა ისწავლონ ქართული ენა, მაგრამ ოჯახში ვერ ეხმარებიან, რადგან ზოგიერთი მშობელი თავის შვილთან ერთად ახლა სწავლობს ქართულ ენას.

ჩვენ კი მასწავლებლებს გვევალება, რაც შეიძლება გავუადვილოთ ასეთ ადამიანებს ქართულის შესწავლა. ვიყავი ჩართული G-PRIDE – პროექტში.. მთლიანად სკოლა ამ პროექტში ოთხი წლის განმავლობაში იყო ჩართული, გავდიოდით ტრენინგებს, ვიყავი ჯგუფის ფასილიტატორი, შემდეგ ქოუჩი. ეს იყო კარგი ჩვენი შემდგომი საქმიანობისათვის, რადგან მათ ძალიან ბევრი მასალა მოგვაწოდეს, ვთანამშრომლობდით და გვასწავლეს ბევრი რამ,რაც გამოგვადგა მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. შემდეგ ვიყავი ჩართული სკოლის ლიდერ მასწავლებელთა ჯგუფში, რომელსაც USAID -პროექტით ატარებდა თელავის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.ამ ტრენინგმაც ბევრი რამ მომცა იმისათვის, რომ ბავშვებთან ჩემი მუშაობა გამეუმჯობესებინა, მაგრამ პირველ რიგში ჩემი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება მეხმარება ყოველდღიურად თითოეული კლასის მოსწავლეების სწავლებაში უკეთესი შედეგი მქონდეს.

ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი აქტივობები მაქვს სკოლაში გაკეთებული,ვარ დაწყებითი საფეხურის კათედრის გამგე. ეს კი ბევრს მავალებს, უპირველესად პასუხისმგებლობას. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით მეორე კლასელები მყავდა თბილისში, თოჯინების თეატრში (დამრიგებელი **ბადირა ნასიბოვა),** მე-6 კლასელები ციფრულ მუზეუმში და ექსპერიმენტარიუმში. სკოლაში ჩავატარე კალიგრაფიის კონკურსში და მხატვრული კითხვის კონკურსი და მივიღეთ მონაწილეობა „კალიგრაფიის კონკურსში“, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით ჩატარდა. გვყავს გამარჯვებული ჩემი მოსწავლე **მარიამ შამბათოვა.**



ასევე, სკოლაში ჩავატარე ცეკვის კონკურსი „ცეკვავენ პატარა ვარსკვლავები“. გამარჯვებულები და კონკურსის მონაწილეები სიგელებით დავაჯილდოვეთ. მინდა სიამაყით გითხრათ,რომ მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ ეს კონკურსი და ყოველდღე ვგრძნობ, როგორი ინტერესით მოელიან სამომავლოდ ასეთი სახის კონკურსის ჩატარებას.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები მოვამზადე თეატრალური ფესტივალისათვის,რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლებმა მოაწყეს საგარეჯოში და საბავშვო თეატრალურ ფესტივალში ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი და პრიზებიც დაიმსახურეს.

მინდა გითხრათ, რომ ამ ფესტივალის მიზანი იყო ახალგაზრდების მოტივაციის გაძლერება თეატრალური ხელოვნების მიმართ. ყველაზე მთავრი კი ის იყო, რომ ამ შემთხვევაში როლური თამაში ბავშვის რამდენიმე უნარის განვითარებებს უწყობს ხელს. ფესტივალში ჩვენი მუნიციპალიტეტის 8 საჯარო სკოლა იღებდა მონაწილეობას და რაოდენ სასიხარულოა, მათ შორის იორმუღანლოს სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა. ფესტივალის თემა ნოდარ დუმბაძის შემოქმედება იყო. ეს ხომ ყველაზე დიდი სტიმულია, აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეებისათვის – უკეთ გაეცნონ ნოდარ დუმბაძის მოთხრობები და მათი გმირები გაეთავისებინათ. სიამაყით ვამბობ, რომ სკოლამ დამსახურებულად მიიღო პრიზი.

ამ აქტივობებში მოსწავლეთა აქტიურობა განაპირობა სწორედ მათმა ინტერესმა, ოჯახების ხელშეწყობამ – რაც შეიძლება მეტი განათლება მიიღონ მოსწავლეებმა, უკეთ შეისწავლონ ქართული ენა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, მათთვის მეორე მშობლიური ენა.

***აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინდა ვუთხრა იორმუღანლოს საჯარო სკოლის დირექტორს რიზვან უსუფოვს, კლასების ხელმძღვანელებს, მშობლებს, პედაგოგებს, რომლებიც მხარში უდგანან ჩემს მოსწავლეებს და მხარს მიბავენ მათთვის ქართულის უკეთ შესწავლისათვის ჩატარებულ ღონისძიებებში. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლებს.***

დასასრულ ვიტყვი, რომ მოსწავლეთა მოტივაციისთვის, ჩემი აზრით, მნიშვნელ;ოვანია კალიგრაფიის კონკურსი და მხატვრული კითხვის კონკურსის ეტაპობრივად ჩატარება. პრაქტიკამ გვიჩვენა,რომ სწორედ ამ კონკურსების შემდეგ უამრავმა მოსწავლემ გაიუმჯობესა კალიგრაფია და დახვეწა მეტყველება. სხვა ბევრი აქტივობებია, რომელიც გამომიყენებია და შედეგიც მიმიღია. არსებობს აქტივობები კითხვის გასაუმჯობესებლად, ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის, მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ მუშაობაში მოსწავლეების მეტად გაზრდილი ინტერესი ქართული ენის შესასწავლად, სწრაფვა სახელმწიფო ენის უკეთ დასაუფლებლად.

## ევროპელ თანატოლებთან ერთად



**მიმდინარე** სასწავლო წელს ნინოწმინდის საჯაროს სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეები (დამრიგებელი **მანანა როსტომაშვილი**) პროგრამა eTwinning-ის ფარგლებში მონაწილეობდნენ რამდენიმე საერთაშორისო პროექტში. მათ შორის ერთ-ერთი იყო პროექტი სახელწოდებით „Dream, Design,Paint, Pley“, რომელშიც, საქართველოსთან ერთად, ჩართული იყო 7 ქვეყნის 16 პარტნიორი თავის მოსწავლეებთან ერთად თურქეთიდან, ესპანეთიდან, მაკედონიიდან, სლოვენიიდან, რუმინეთიდან და მოლდოვადან. პროექტი მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ინოვაციური მიდგომების სტიმულირებას, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას და მის საფუძველზე ორიგინალური პროდუქტების შექმნას მსოფლიოში ყველა ბავშვისათვის საერთო ენაზე მუსიკით, მხატვრობით, რიტმითა და დრამატურგიით. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ასრულებდნენ სახალისო დავალებებს, ქმნიდნენ საინტერესო ნამუშევრებს და უზიარებდნენ ევროპელ თანატოლებს ცოდნას საკუთარი ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების შესახებ. მონაწილეობდნენ ონლაინ შეხვედრებში. მათ დაამზადეს უძველესი ქართული ფულის ასლები და ისაუბრეს მათი ისტორიის შესახებ, გააცნეს თანატოლებს ქართული თამაშები, ქართული ზღაპრის პერსონაჟები, ასევე გააცოცხლეს უცხოური ზღაპრის პერსონაჟები, შეასრულეს რიტმული სავარჯიშოები. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს საერთო ნახატი, საერთო ლექსი და საერთო კალენდარი, სადაც განათავსეს თავიანთი ნამუშევრები. ამ და სხვა საინტერესო აქტივობების განხორციელების პროცესში მათ შეისწავლეს და გამოიყენეს სხვადასხვა Web 2.0 ინსტრუმენტი, განივითარეს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები, როგორიცაა: კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, გადაწყვეტილებების მიღება, პასუხისმგებლობა, ცოდნის გაზიარება, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა. აღნიშნული უნარები მათ დაეხმარება თითოეულ სასწავლო დისციპლინაში მიღებული ცოდნის გაფართოებასა და გამოყენებაში. პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.



**კაჭრეთის** ამბასადორში, 31 მაისს, გაიმართა შემაჯამებელი ღონისძიება შ I -ის კახეთის რეგიონის გუნდის მიერ. ღონისძიებაზე ჩვენი სკოლიდან მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი მოსწავლეები: ლიზი ახვერდაშვილი, ნინი მეკოშკიშვილი, მარია მეკოშკიშვილი და პროექტის ხელმძღვანელი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბიოლოგიისა და ქიმიის პედაგოგი, ნათია ფირყულაშვილი. დამსწრე საზოგადოების წინაშე, ნათია მასწავლებელთან ერთად, მოსწავლეებმა გააკეთეს პრეზენტაცია მოსახლეობაში ჩიყვის პრობლემის შესახებ.

**დაბოლოს**, ღონისძიებაზე აღინიშნა რომ ტექნიკის კონკურსში რეგიონის მასშტაბით, სამოქალაქო განათლების ეგიდით, გამოვლინდა 3 გამარჯვებული, მათ შორის, ჩვენი, ნინოწმინდის საჯარო სკოლა. სამოქალაქო განათლების პედაგოგს მანანა გეგელიძეს და ლიზი ახვერდაშვილს გადაეცათ სერთიფიკატი და პროექტორის ეკრანი.

ლია შენგელიძე

***ნინოწმინდის საჯარო სკოლის მენეჯერი***

## სპორტი

# ქართული ჭიდაობა

## მეორე ადგილი 2010-2011 წლიანთა შორის

**როგორც** ცნობილია, ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისა და მომავალ ფალავანთა დაოსტატების მიზნით, კახეთში ყოველწლიურად ტარდება რეგიონული, გუნდური პირველობა შესაბამისი სპორტული გაერთიანებების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების აღსაზრდელთა შორის. ასპარეზობა რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტს მოიცავს და, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების აღსაზრდელები არიან. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ღირსეულად იცავენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახელს ამ ასპარეზობებში და ბოლო წლებში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში უკვე ოთხჯერ აქვთ მოპოვებული რეგიონის ჩემპიონის ტიტული.

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" (***დირექტორი*** **მამუკა კურდღელაშვილი)** ფალავნებს ძალთა მორიგი გამოცდა ჰქონდათ ახმეტაში ქართულ ჭიდაობაში 22 მაისს გამართულ რეგიონულ პირველობაში 2010-2011 წლებში დაბადებული მოჭიდავეებით დაკომპლექტებულ გუნდებს შორის, სადაც შეძლეს გუნდური მეორე ადგილის დაკავება.

გუნდის ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საგარეჯოს, გიორგიწმინდის,პატარძეულისა და უდაბნოს ჭიდაობის წრეების აღსაზრდელებმა: **ლუკა კურდღელაშვილმა** (35კგ), **თორნიკე შიოშვილმა** (40კგ), **ალეკო ბეჟიაშვილმა** (45კგ), **მათე მათიაშვილმა და რატი როსტიაშვილმა** (ორივე 50კგ), **ლუკა ფირცხელანმა** (55კგ), **ნოდარ ელერდაშვილმა** (60კგ) და **გიორგი ბეჟიტაშვილმა** (მძიმე წონა).

მორიგი რეგიონული გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში გაიმართება უახლოეს ხანებში, ყვარელში,2008-2009 წლებში დაბადებულ ფალავანთა შორის.

*გივი დაბახიშვილი*

# ძიუ-დო

## რესპუბლიკური ტურნირი

**29-30 მაისს** საგარეჯოში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის, მსოფლიო ჩემპიონების აღმზრდელის, ***როინ ყორღანაშვილის ხსოვნისადმი*** მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, 2011-2012 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს შემდეგმა სპორტსმენებმა:

ალეკო ბეჟიაშვილი - I (42კგ)
თენგო გიუნაშვილი - III (46კგ)
მათე მათიაშვილი - III (50კგ)
ნოდარი ელერდაშვილი - I (60კგ)
ზუკა აზნაურაშვილი - III (73 კგ)
გიორგი დალბაშვილი - III (+73კგ)
გიორგი აბულაშვილი - III(+73კგ)







# მხატვრული ტანვარჯიში

## დამოუკიდებლობის თასი




**25-26 მაისს** თბილისში ჩატარდა რეგიონალური შეჯიბრი მხატვრულ ტანვარჯიშში, სადაც წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ ააიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების გოგონებს" (***მწვრთნელი მედეა ვეკუა)***

ნანიტა გრატიაშვილი -
ქეთევან კურდღელაშვილი -
თამუნა ბეჟიაშვილი -
ლიზი მეკოკიშვილი -

შეჯიბრის მონაწილეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, მედლები და სიგელები, მონაწილე გუნდებს გადაეცათ თასი, ასევე **ნანიტა გრატიაშვილმა** მოიპოვა "მის გრაციას" წოდება და დასაჩუქრდა გვირგვინით.

# კალოობნობა

## სოფლის სალოცავები



**სოფლებს** –მანავსა და თოხლიაურს შორის ერთ ადგილს კალობანს ეძახიან, სადაც ორი – ერთი პატარა, ღვთიშობლის სახელობის ტაძარი და მეორე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დგას. კალოუბნის შესახებ ხალხში გავრცელებული თქმულების თანახმად, აქ ძველად პურის ყანა ყოფილა. როცა აღმოსავლეთ საქართველოს შაჰ-აბასი შემოსევია, კალოობის პერიოდი ყოფილა. დიდი თუ პატარა ყანაში ყოფილა ხორბლის ასაღებად. მტერს როგორც კალო ისე გაულეწავს და ერთიანად მოუსრავს იქ მყოფნი. მათი სულის საოხად იმ ადგილას ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის სახელობის მცირე ეკლესიები აუგიათ. ამბობენ, ყოველ წელს, მოსავლის აღების ჟამს, მანაველები და თოხლიაურელები მიდიოდნენ იქ და გარდაცვლილთა სულებისთვის ლოცულობდნენო.

ეს ეკლესიები სოფლებიდან კარგა მოშორებით არის. კალობნამდე ქვაღოღიან გზაზე ამ დღეს მანქანების ნაკადი არ წყდება.დღესასწაულს მხოლოდ თოხლიაურელები და მანაველები როდი აღნიშნავენ აქ მოდიან გიორგიწმინდელები და საგარეჯოელები. აღმართს რომ შეუდგები, ზევით, ფეხით ამსვლელთა შორის ფეხშიშველა მომლოცველსაც ნახავ.

დროთა განმავლობაში კალობნობა, თოხლიაურელებისა და მანაველების ძირითად დღესასწაულად ქცეულა, რომელიც ადგილობრივი კულტურის ელემენტებს შეიცავს. ახლა ძირითადად იმართება შეჯიბრი ჭიდაობაში. აქ ცხენებით მოჯირითეებსაც შეხვდებით, რომლებიც მსურველებს ცხენზე ჯდომას ასწავლიან. წარსულში აქ დოღი იმართებოდა , რომელშიც ჩვენი წინაპრები მონაწილეობდნენ. ბოლოწლებში ეს ტრადიცია აღდგა და და გიორგიწმინდელი, საგარეჯოელიმანაველი, თოხლიაურელი მხედრები აქ ერთმანეთს ცხენებს აჯიბრებენ. იმართება მცირე ბაზრობა.

სანთლისგან გაშავებულ ნიშებთან ხალხის რიგი არ წყდება, "აქ ყოველივეს განაწყობს მამა და ძე და სულიწმიდა ," ... ადგილობრივ და ჩამოსულ სტუმართა შორის ბევრია ცნობისმოყვარეც, რომელთაც მოკრძალებისა და სიწმინდის პატივსაცემად ეკლესიის დაბალი, შესასვლელი კარი მიუთითებს სადაც თავი თუ არ დახარე, ვერ შეხვალ. მსხვერპლთშეწირვის ტრადიცია ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, ადამიანების შესაწირად ამოჰყავთ ცხვარი და მამალი.



კალობნობა აღდგომის თვის თავზე იმართება და ყოველთვის, რაც არ უნდა კარგი ამინდი იყოს, წვიმა აუცილებლად მოდის, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მოსავალი მართლაც უხვი იქნება. რაც შეეხება მსხვერპლშეწირვას, აქ ქრისტიანობამდეც ყოფილა ნაყოფიერების რიტუალებისთვის სალოცავი, მსხვერპლიც სწორედ მისთვის იყო და წვიმაც.

მანაველები და თოხლიაურელები ამ დღეს დიდი სტუმარიანობით გამოირჩევიან. დრონი იცვალნენ, თუმცა ტრადიცია არ შეცვლილა. მას შემდეგ რაც კალოუბნის გამარჯვებულ ფალავანს ხალხი გამოავლენს დღესასწაული მომლოცველთა სახლებში გადაინაცვლებს. ან, იქვე, ტყეში გაჩაღდება ლხენა.

ამ დღეს კახელების სტუმართმოყვარეობას, სილაღეს და გულღიაობას ,კიდევ უფრო ხაზს უსვამს ყველა ოჯახში ჩამოსული სტუმრების სიუხვე. რომლებთან ერთადაც, პირველ სადღეგრძელოში, კეთილი გულით ღმერთსა და ქვეყანას ადიდებენ, შემდეგ კალოუბნის ძალსა და მადლს დალოცავენ, გარდაცვლილი სულების მოსახსენიებელს შესვამენ და საკუთარ სტუმრებთან ერთად, მომავალ ამ დრომდე "ვალმოხდილები," ლხინს საღამომდე შეუყვებიან...

გეწეოდეთ დღევანდელი დღის მადლი მანაველებო.



№11-12(313-314) 2024 წელი, 1-30 ივნისი

# 16 ივნისს აღინიშნა სახალხო დღესასწაული –„გარეჯობა“

## გარეჯობის ისტორიიდან

**16 ივნისს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში, ჩიჩხიტურის კოშკის მიმდებარედ, გარეჯობის სახალხო დღესასწაული მასშტაბურად აღინიშნა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** ღონისძიებას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ **გიორგი ალადაშვილთან,** პარლამენტის წევრ **დავით სონღულაშვილთან,** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, **სოლომონ პავლიაშვილთან,** საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გილაშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

გარეჯის სახალხო დღესასწაული დავით გარეჯის დიდ სამონასტრო კომპლექსთან XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იმართება. 1988 წლის შემდეგ, ეს დღესასწაული მხოლოდ ერთხელ, 1997 წელს მცირე მასშტაბით აღინიშნა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით აღნიშნული დღესასწაული 2018 წლის 21 მაისს იქნა აღდგენილი, როგორც მუნიციპალიტეტის სახალხო დღესასწაული.

დღესასწაულზე მოსულ სტუმრებს დახვდათ თემატური, საგამოფენო, საბავშვო-გასართობი და სახელოვნებო სივრცეები.

მოეწყო ფოტოგამოფენა, სახელწოდებით, გარეჯობის ისტორიები;

პანტომიმის მსახიობებმა - წარმოადგინეს პერფორმანსი „გარეჯულა“ და “ შენ ხარ ვენახი”.

გაიმართა ცხენოსანთა დოღი, ჩატარდა ტრადიციული ქართული კერძების მასტერკლასები და ღვინის დეგუსტაცია.

ღონისძიებაზე, მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა განსაკუთრებული ღვაწლისთვის საპატიო გარეჯელის წოდება მიანიჭა დამსახურებულ ექიმს, ქალბატონ მაია ანუაშვილს. ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორს, საქათველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს სოლომონ პავლიაშვილს, ნ და საზღვაო ექსპერტს, შორეული ნაოსნობის კაპიტანს, ბატონ გელა უნაფქოშვილს.

გარეჯობის სახალხო დღესასწაული გალა კონცერტით დასრულდა, სადაც წარმოდგენილი იყო ანსამბლი „შავნაბადა“, მომღერალ ოთო ბაზერაშვილთან და ლუკა მარტიაშვილთან ერთად. ასევე, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები: “ სამა”, “ ალავერდი” და “ სინათლე”.



















რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com